საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ა. კ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

პარასკევი,
10
ივლისი
1936 წ.
№ 158 (4617)

ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია:

- — საექიმო მომსახურება (მეთაური).
- — ავტოხულიგნობის წინააღმდეგ! (სარედაქციო წერილი).
- — ანდრე ჟიდის სიტყვა ლენინგრადის მწერალთა და მეცნიერთა კრებაზე (1-ლი გვ.)
- — სტალინური კონსტიტუცია საყოველთაო სახალხო განხილვა (მე-2 გვ.)
- — ს. ბახტაძე—ტუნგოს კულტურა საქართველოში (მე-2 გვ.)
- — გ. კოგანი—ყოველდღიური ბალანსი (მე-3 გვ.)
- — ნ. გეგეშიძე—წინათ გამოშვებული სესხების გადაცვლა (მე-2 გვ.)
- — ი. რუდოვსკი—ქალების დიდი თაოსნობა (მე-3 გვ.)
- — ტ. აცანელი—ვემზადოთ საკავშირო გამოფენისათვის (მე-3 გვ.)
- — მოსკომმა დაამთავრა სესხზე ხელისმოწერა (1-ლი გვ.)
- — მონტრეს კონფერენცია (1-ლი გვ.)
- — საქ. დეპეშათა სააგენტო [illegible] (მე-2 გვ.)

საექიმო მომსახურება

ავადმყოფობა ძველად მუშისა და გლეხის ხშირი სტუმარი იყო. ისედაც ჩაგრული, აბუჩად აგდებულ დამცირებული მშრომელებისათვის იგი ნამდვილი რისხვა და უბედურება იყო, რადგან ხელმოკლესა და ილაჯგაწყვეტილ მშრომელს დახშული ჰქონდა ამ უბედურებიდან თავის დაღწევის გზები. საავადმყოფო, ექიმი, მეცნიერული მკურნალობა მისთვის მიუწვდომელი იყო.

ექიმბაშები, მკითხავები და ძველი საზოგადოების სხვა მსახურნი საშინელი საღებავებით უხატავდნენ მშრომელთ მედიცინის მუშაკებსა და სამკურნალო დაწესებულებებს, აშინებდნენ, აფრთხობდნენ ექიმებზე და საავადმყოფოებზე შეთხზული ჭორებით და მით ახერხებდნენ ექიმბაშების, მკითხავებისა და ღვთის მსახურთა კლანჭებში ავადმყოფისა და მისი ჭირისუფლების მოქცევას. ექიმბაში მკითხავისაკენ, ეს — ეკლესიისაკენ და პირუკუ, — ასეთი იყო ის ხლართი, რომელშიაც ებმოდა მშრომელი.

გაჰქრა ეს წყეული დრო! მებრძოლმა პროლეტარიატმა რკინის ხელებით დაახრჩო ცარიზმისა და კაპიტალიზმის ვეშაპი, ტანჯვისა და ჩაგვრის საყრდენს რომ წარმოადგენდა, უკულტურობასა და უმეცრებას რომ ნერგავდა, მშრომელთა აწიოკებას რომ ხელმძღვანელობდა, მშრომელებს რომ ექიმბაშებს, მკითხავებსა და ღვთის მსახურებს უგდებდა ხელში.

სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დროს მედიცინას და მის მუშაკებს საბოლოოდ მოშორდა ის ბურუსი, რომელშიც ჰხვევდნენ მათ ძველი, დახავსებული წყობილების ქურუმნი. მშრომელთათვის ნათელი გახდა, რომ საბჭოთა მედიცინა მათი ერთგული მეგობარია. ახლა ექიმით ვერ შეაშინებ ავადმყოფს, ახლა მისთვის საავადმყოფო აღარ არის საფრთხობელა!

ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ჩვენში ფრიად საპატიო და სასახელო საქმეს წარმოადგენს. მშრომელთა ჯანმრთელობისათვის მებრძოლნი პარტიისა, მთავრობისა და მთელი მშრომელი ხალხის უდიდესი პატივისცემით სარგებლობენ.

საუკეთესო პირობებია შექმნილი მშრომელთა ჯანმრთელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ქვეყნის სამეურნეო აღორძინება, სტახანოვური ხელფასი, სოცდაზღვევა, ფართოდ გაშლილი პროფილაქტიკური ქსელი, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და სხვა სამკურნალო დაწესებულებები საუკეთესო ნიადაგს ჰქმნიან მრავალი დაავადების თავიდან აცილებისათვის, მშრომელთა ჯანმრთელობის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მშრომელთა კულტურული დონის ზრდამ და სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის გაფართოვებამ სრული შესაძლებლობა შექმნა ლახვარი ჩაეცა ექიმბაშობისათვის.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობა მაინც საგრძნობლად ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რასაც მათ ხალხი, მისი პარტია და ხელისუფლება უყენებენ.

ამას მრავალი ფაქტი მოწმობს. მაგალითად, სამხრეთ-ოსეთის რაიონებში მოსახლეობას საექიმო მომსახურებას უწევენ დაბალი კვალიფიკაციის სამედიცინო მუშაკები, ამ რაიონების ზოგი ექიმი სამედიცინო ინსტიტუტის მე-4 და მე-5 კურსიდანაა გასული, ექიმის სახელწოდება არა აქვს, მაგრამ მთელი წლობით ასრულებს ექიმის მოვალეობას. ცუდი საექიმო მომსახურების გამო ჭირისუფალთ ავადმყოფები სამკურნალოდ რაიონებიდან საოლქო ცენტრში მიჰყავთ. ანალოგიური მდგომარეობაა ჩხარის რაიონშიც, სადაც ექიმთა სიმცირე იძულებულს ხდის ავადმყოფს ქუთაისში წაიყვანონ. ხოლო ზოგგან, კერძოდ გორის რაიონში ავადმყოფებს ხშირად ტფილისის ლაბორატორიებსა და საკვლევ ინსტიტუტებში გზავნიან. ყოველივე ეს იწვევს ჭირისუფალთა მოცდენასა და ზედმეტ ხარჯებს.

მეორე მხრივ ეს მოწმობს ჯანმრთელობის განყოფილებათა მოუქნელ მუშაობას, რომლებიც სათანადოდ ვერ ანაწილებენ ექიმთა კადრებს, რაიონის ცენტრებს ვერ უზრუნველჰყოფენ კვალიფიციური ექიმებით. ზოგ რაიონში ერთი ექიმი ორ-სამ მოვალეობას ასრულებს, საკუთარ თავზე მუშაობის შესაძლებლობა სრულებით არა აქვს. შეთავსებით მუშაობა არ შეიძლება დაბლა არ სწევდეს საექიმო მომსახურების ხარისხს.

ქვეყნის შემდგომმა სამეურნეო აღმავლობამ გამოიწვია საავადმყოფოების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, გაიზარდა ასიგნობანი კვებაზე, ბაზარზე გაიაფდა პროდუქტები და სხვ. მაგრამ ზოგიერთი საავადმყოფოს ხელმძღვანელთა უხეირო მუშაობის გამო ავადმყოფთა კვების საქმეს არ დაეტყო რაიმე სერიოზული გაუმჯობესება. სჩანს, საქ. კ.პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის მიერ ამას წინათ გამოტანილი დადგენილებიდან, რომელიც საექიმო მომსახურების საქმის ჯეროვან სიმაღლეზე აყვანას ითვალისწინებს რაიონებს ჯერ კიდევ ვერ გამოუტანიათ ჯეროვანი დასკვნები, ჯერ ისევ ვხვდებით იმ ნაკლოვანებებს, რაც მითითებულია ამ დადგენილებაში.

მშრომელთა საექიმო მომსახურების გაუმჯობესებისათვის საჭიროა სააფთიაქო საქმეც მაღალ დონეზე დავაყენოთ. აფთიაქებში ხშირად უბრალო წამლებსაც ვერ იშოვნით, წამლებს გაზეთის ქაღალდში ჰხვევენ, იშვიათად ხმარობენ დესტილირებულ წყალს. მრავალ აფთიაქში უსუფთაობაა. ასეთი სურათია, მაგალითად, სამხრეთ-ოსეთის ზოგიერთ რაიონებში. ცხადია, ეს მდგომარეობა უნდა გადაჭრით გამოსწორდეს.

მას შემდეგ, რაც პარტიამ და ხელისუფლებამ ესოდენ გაამახვილეს ყურადღება მშრომელთა ჯანდაცვის საკითხებზე და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის საკმაოდ დიდი თანხები გაიღეს, აღარავითარი ობიექტური მიზეზებით არ შეიძლება გავამართლოთ ის ჩამორჩენა, რაც ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებასა და რაიონებს აშკარად ემჩნევათ.

საექიმო საქმე უნდა ავიყვანოთ იმ სიმაღლეზე, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა!

ავტოხულიგნობის წინააღმდეგ!

ორიოდე თვის წინათ ტფილისის ქუჩაში ავტოხულიგანმა დაამტვრია საბჭოთა მსოფლიო რეკორდსმენი ქალი კუზნეცოვა. სამი დღის წინ ტრამვაის თავგასული ვატმანის ზ. მღვიმიშვილის და შოფერ ნ. კლიმენკოს მიზეზით საგრძნობლად დაშავდა საბჭოთა კავშირის წითელდროშოვანი ანსამბლის 8 მსახიობი, ერთი მათგანი—სასიკვდილოდ. 6 ივლისს ავტოხულიგნის ნ. ტატინინის მიზეზით ქალაქგარეთ ხრამში გადაიჩეხა საბარგო მანქანა, რომლითაც საექსკურსიოდ მიემგზავრებოდა კალინინის ქარხნის მუშათა ჯგუფი თავიანთი ცოლშვილით.

ეს და მრავალი სხვა ასეთი ფაქტი ადასტურებს, რომ უკანასკნელ ხანებში გახშირდა ავტომანქანების ავარიების შემთხვევები, რასაც ხშირად თან სდევს ადამიანის მსხვერპლი.

ტფილისი გაიზარდა. ამასთან დიდად გაიზარდა მოძრაობაც. საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებამ გამოიწვია, კერძოდ, საავტომობილო ტრანსპორტის არნახული განვითარება. მილიციის ორგანოებს და პროფკავშირებს ეს გარემოება ავალებდა და ავალებს გამოიჩინონ მეტი სიფხიზლე მოძრაობის მოწესრიგებისათვის ბრძოლაში, შოფერებსა და ვატმანებს შორის გააჩაღონ აღმზრდელობითი მუშაობა. მათ კი ეს ვერ შესძლეს. იმის ნაცვლად, რომ ნამდვილად გაუძღვნენ მოძრაობის მოწესრიგების საქმეს, რომ დაუყოვნებლივ მიიღონ ენერგიული ზომები ავტოხულიგნების და თავგასული ვატმანების წინააღმდეგ, რომ მოითხოვონ და მიაღწიონ მათ სასტიკად დასჯას, მილიციის მუშაკები ხშირად მომხდარი შემთხვევების უბრალო რეგისტრაციით კმაყოფილდებიან და დროის ავარიებთან ბრძოლის საკითხზე ლაყბობაში ატარებენ.

გულზე ხელდაკრეფილი, დამშვიდებით შესცქერის ამ უმსგავსობას შოფერების პროფკავშირიც, რომელიც შოფერებში არ ატარებს სათანადო ახსნა-განმარტებითს, აღმზრდელობითს მუშაობას, არ აწყობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და საშოფერო საქმის მასობრივ სწავლებას.

მილიციის და პროფკავშირების უმოქმედობას „აგვირგვინებს" სასამართლოს და პროკურატურის უვარგისი მუშაობა ავტოხულიგნებთან ბრძოლის დარგში. ეს ორგანოები, ჯერ ერთი, აჭიანურებენ საქმის გამოძიებას, მეორე, არასათანადო კვალიფიკაციას აძლევენ დანაშაულს, და, მესამე, ლიბერალური განაჩენებით და პირობითი სასჯელით კმაყოფილდებიან, რითაც არსებითად ხელს უწყობენ ავარიების გახშირებას და აქეზებენ ავტობანდიტებს, რომლებიც, სოციალისტური საკუთრების დაზიანებასთან ერთად, ხშირად მსხვერპლად იწირავენ საბჭოთა სამშობლოსათვის ძვირფას ადამიანთა სიცოცხლეს.

რა შეიძლება ვუწოდოთ, თუ არა დამპალი ლიბერალიზმი და რევოლუციური სიფხიზლის დაკარგვა, მაგალითად, ორჯონიკიძის რაისასამართლოს საქციელს, რომელმაც 18 ავტობანდიტიდან ფაქტიურად არც ერთი არ დასაჯა და რამდენიმე საქმის გარჩევას წელიწადზე მეტია აჭიანურებს?! რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა ავტოხულიგნობის აშკარა წაქეზება, რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს განაჩენს კ. ოდილავაძის აღმაშფოთებელ საქმეზე, რომელსაც გუშინ გაეცნენ „კომუნისტის" მკითხველები.

ასეთი მაგალითები კი სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების პრაქტიკაში არც ისე მცირეა, რომ მან არ გვაიძულოს განგაში ავტეხოთ და ამ ორგანოებს მათი პირდაპირი მოვალეობა არ მოვაგონოთ.

ავტოხულიგნობასთან ბრძოლა გულისხმობს იმ თავგასული ვატმანების სასტიკად დასჯასაც, რომლებიც არღვევენ დაწესებულ სიჩქარეს და მიაქროლებენ ვაგონს რასაც ხშირად მოსდევს ავარია.

ხულიგან შოფერებთან ერთად მკაცრად უნდა დაისაჯონ აგრეთვე ის თავგასული ავტოს „მოყვარულნიც", რომლებიც ბოროტად სარგებლობენ თანამდებობით, ხელში იგდებენ მანქანას და „მართავენ" მას, როცა ამის უფლება არა აქვთ. ამ „მოყვარულთა" თავგასულობას ხშირად მოსდევს ავარიები. ეს ცხადჰყო ოდილავაძის საქმემაც. ამიტომ ეს „მოყვარულებიც", რომლებიც „შოფერობენ" შნოსთვის, პროლეტარულ სახელმწიფოს კანონის მთელი სისასტიკით უნდა დაისაჯონ, მიუხედავად პიროვნებისა, თანამდებობისა, საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

ავტოხულიგნებო, ავტობანდიტებო, საჭიდან შორს თქვენი ბინძური ხელები!

მონტრეს კონფერენცია

ამხ. ლიტვინოვის გამოსვლა

მონტრე 8 ივლისი. სრუტეების საკითხთა კონფერენციის გუშინდელ საღამოს სხდომაზე ინგლისის პროექტის მე-14 მუხლში, სადაც ლაპარაკია თურქეთის უფლებაზე—მოიწვიოს თავის ნავსადგურებში სადარბაზოდ სხვა სახელმწიფოს ფლოტი ყოველგვარი შემადგენლობისა და ყოველგვარი ტონაჟისა, საერთო ნორმის დამოუკიდებლად,—შეტანეს დაზუსტებანი: ეს უნდა ეხებოდეს თავაზიანობის დარბაზობას ხანმოკლე პერიოდით, და თურქეთის ნავსადგური, სადაც სადარბაზოდ მიდიან, სრუტეებში უნდა იმყოფებოდეს.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ლიტვინოვის გამოსვლამ მე-14 მუხლის არსების გამო. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია შენიშნას უკეთებს ამ მუხლს, ამასთან ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ ეს მუხლი ნამდვილად უკვე არის დაშორება „ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის" იმ პრინციპისაგან, რომელსაც ინგლისელები აყენებენ, რამდენადაც თურქეთს ამ საფუძველზე შეუძლია მოიწვიოს უცხოეთის ფლოტი თავისი არჩევანის მიხედვით, და ამით ეს ფლოტი ღებულობს სრუტეებში შესვლის უფლებას, რომელიც სხვა ფლოტს არ ეძლევა. ამით,—აღნიშნა ლიტვინოვმა,—აღიარებულია თურქეთისა და შავიზღვის სახელმწიფოთა განსაკუთრებული მდგომარეობა.

არაშავიზღვის სახელმწიფოთა სამხედრო გემების იმ მაქსიმალური ტონაჟის გადიდების საკითხზე, რომელიც შავიზღვის სახელმწიფოთა ფლოტების ოდენობის გადიდებისას, შავ ზღვაში დაიშვება, საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შემოიტანა—უკანასკნელების არა 10 პროცენტით, როგორც ამას ინგლისის პროექტი ჰგულისხმობს, არამედ 30 პროცენტით გადიდების მომენტიდან დაწყებულ იქნას მაქსიმუმის გადიდება არაშავიზღვის სახელმწიფოებისათვის იმდენივე პროცენტით, რამდენითაც იზრდება შავი ზღვის ფლოტების ოდენობა, და არა ტონაჟის ასეთივე რაოდენობით. ორივე საკითხს განიხილავენ მეორე სხდომაზე.

უახლოეს დროში გაიმართება საბჭოთა და ინგლისის დელეგაციების კერძო თათბირი, რათა შეძლებისდაგვარად მიღწეულ იქნას შეთანხმება იმ უმნიშვნელოვანეს პუნქტებში, რომელთა შესახებაც წარმოდგენილია შენიშვნები. (ადს).

კამათი კონვენციის ინგლისის პროექტის საკითხზე

მონტრე, 8 ივლისი. როგორც გადმოგვცემენ, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამხ. ლიტვინოვმა თავის გამოსვლაში კონფერენციის დილის სხდომაზე აღნიშნა, რომ ინგლისის პროექტი შეიძლებოდა შედგენილი ყოფილიყო 30-40 წლის წინათ, როცა არ არსებობდა არც ბრიან-კელოგის პაქტი, რომელიც ომს ჰკრძალავს, არც ერთა ლიგის წესდება, რომელიც აგრესიის მსხვერპლისათვის დახმარების გაწევას ითვალისწინებს. ამჟამად უკვე არ შეიძლება გამოვდიოდეთ იმ ძველი ფორმულიდან მეომარ მხარეთა უფლებების შესახებ, რომელიც მშვიდობიანობისა და კოლექტიური უშიშროების ინტერესებს არ ითვალისწინებდეს. გარდა ამისა, საეჭვოა მიზანშეწონილი იყოს მიენდოს ერთ სახელმწიფოს ერთპიროვნულად გადასწყვიტოს სრუტეთა დაკეტვის პასუხსაგები საკითხი. სსრ კავშირი, მიუხედავად მთელი თავისი მეგობრობისა თურქეთთან, ასეთ წინადადებას ვერ დაეთანხმებოდა. ამიტომ საბჭოთა დელეგაციას შემოაქვს თავისი შესწორება, რომელიც უზრუნველჰყოფს როგორც თურქეთის უშიშროებას, ისე სიწყნარეს შავზღვაზე და უშვებს შავი ზღვის დაკეტვის წესებისაგან გადახვევას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამას ერთა ლიგა ნებას დართავს.

ინგლისის დელეგაციამ აღნიშნა, რომ საკითხის ასე დასმას შეუძლია შექმნას სერიოზული გართულებანი თურქეთისა და იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც ერთა ლიგაში არ შედიან ან რომელთაც სრუტეების კონვენციაზე ხელი არ მოუწერიათ. ამის პასუხად აღინიშნა, რომ ერთა ლიგის წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულებას, რა თქმა უნდა, შესაძლოა მოჰყვეს ერთგვარი რისკი, მაგრამ ლიგა სწორედ იმისათვის არსებობს, რომ უზრუნველჰყოს თურქეთისათვის კოლექტიური დახმარების გაწევა ასეთ შემთხვევებში. უეჭველია, მიუთითეს ინგლისელებს, — იტალია-აბისინიის კონფლიქტის სამწუხარო გამოცდილების შემდეგ, მეომარ მხარეთა უფლებების აღიარებას და ომის ლეგალიზაციას, წინააღმდეგ ბრიან-კელოგის პაქტისა და ნაცვლად ლიგის წესდების დაცვისა, შეუძლია მხოლოდ ახალი ლახვარი ჩასცეს ერთა ლიგას.

თურქეთის წარმომადგენელმა თევფიკ რუშტი არასმა განაცხადა, რომ თურქეთი მზად არის იკისროს აუცილებელი პასუხისმგებლობა, თუ კონფერენცია გადასწყვეტს ინგლისის პროექტი მიიღოს. მაგრამ იგი უფრო ამჯობინებს მხარი დაუჭიროს საბჭოთა დელეგაციის წინადადებას.

იაპონიის დელეგატმა სატომ, რომელმაც საერთოდ უპირატესობა საბჭოთა დელეგაციის წინადადებას მიაკუთვნა, განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის მიიღოს საწინააღმდეგო წინადადებაც, რომელიც ითვალისწინებს გავლის სრულ თავისუფლებას ყველა მეომარი სახელმწიფოსათვის, მაგრამ იმ პირობით, რომ აიკრძალოს წყალქვეშა ნავების გავლა, რამდენადაც ისინი იაპონიას მიაჩნია განსაკუთრებით საშიშ და მავნე იარაღად, რომელიც შესაძლებელს ხდის ბევრ ბოროტმოქმედებას.

აზრთა ურთიერთი გაზიარების შემდეგ მთელმა რიგმა დელეგატებმა განაცხადეს, რომ მათთვის აუცილებელია გააცნონ თავის მთავრობებს ორივე წინადადება, აგრეთვე კამათის მსვლელობა. დადგენილ იქნა დაუბრუნდნენ ამ საკითხს მაშინ როცა დელეგაციები მიიღებენ აუცილებელ ინსტრუქციებს.

შემდეგ გამოცხადდა შესვენება ხვალინდელ დილამდე (ადს).

ამხ. ლიტვინოვის საუბარი მონტრეში

მონტრე, 8 ივლისი. დღეს საღამოს ამხ. ლიტვინოვს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ბრიტანეთის პირველ დელეგატ ლორდ სტენლისთან. ამის შემდეგ იგი ესაუბრა ტიტულესკუსა და ბონკურს, ხოლო შემდეგ ეწვია თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ტევფიკ რუშტი არასს. (ადს)

◇ ◇ ◇

განაჩენი ანნა პაუკერის საქმეზე

ბუქარესტი, 8 ივლისი. კრაიოვის (რუმინეთი) სამხედრო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი იმ 19 რუმინელი ანტიფაშისტის საქმეზე, რომლებსაც ანნა პაუკერი მეთაურობდა. ანნა პაუკერს, მარკოვიჩსა და კოლევს მიესაჯათ ათ-ათი წლის პატიმრობა. ერთერთ ბრალდებულს მიესაჯა ორნახევარი წლის პატიმრობა, ხოლო დანარჩენებს პატიმრობა 5-დან 9 წლამდე. გარდა ამისა, ყველა მსჯავრდადებულს ჩამოერთვა უფლება ათი წლით და დაედო ფულადი ჯარიმა 3 მილიონი ლეი. მსჯავრდადებულთა შორის 6 ქალია. (ადს).

მოწოდება იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ

შანხაი, 7 ივლისი. „სინო-ჯაპანიზ კრიტიკსმა" 7 ივლისს მოათავსა გაზეთ „შუნბაოს" ერთერთი დირექტორის ხუ ძი-ძუნის სტატია იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ავტორი გადაჭრით ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ხელმოწერილ იქნას შეთანხმება წითლების მიმართ ჩინეთ-იაპონიის საერთო მოქმედების შესახებ და აცხადებს: „ჩვენ არამც თუ კატეგორიულად უნდა გამოვიდეთ წითლების მიმართ შეთანხმების დადების წინააღმდეგ, არამედ ჩვენზე დამოკიდებული ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ასეთ შეთანხმებათა დადება მომავალში".

„დადგა დრო, — აცხადებს ავტორი, — როცა ჩვენ ომი უნდა გამოვუცხადოთ ჩვენს მტერს. ჩვენ მეგობრულ ხალხთან ერთად მთლიანი ფრონტი უნდა შევქმნათ აგრესორის წინააღმდეგ". ავტორი დაჟინებით მოითხოვს, რათა დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი წითლების წინააღმდეგ. „რათ უნდა განვაგრძოთ ჩვენ საშინაო ბრძოლა, — იძლევა კითხვას ავტორი, — იმის ნაცვლად, რომ შევქმნათ მთლიანი ფრონტი იაპონიის წინააღმდეგ? თუ ჩვენ იმის ნაცვლად, რომ გამოვიყენოთ იარაღი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, წარვმართავთ მას დამპყრობელთა წინააღმდეგ, იქნებიან თუ არა ისინი მაშინ ისევე აგრესიული, როგორც ახლა? (ადს)

◇

იაპონიის მინისტრების თათბირი

ტოკიო, 8 ივლისი. დღეს მინისტრთა საბჭოს მორიგი სხდომის შემდეგ პრემიერი ხიროტა ეთათბირა სამხედრო მინისტრს ტერაუჩის და საგარეო საქმეთა მინისტრს არიტას.

დომეი ცუსინის სააგენტოს გადმოცემით, ამ თათბირის დროს განხილულ იქნა მანჯოუგოში იაპონიის ექსტერიტორიალობის ნაწილობრივ გაუქმებასთან დაკავშირებული საკითხები. სააგენტო აღნიშნავს, რომ ექსტერიტორიალობის ნაწილობრივი გაუქმება უკვე შემოღებულია 1 ივლისიდან. (ადს)

◇

აჯანყება ნანკინის ჯარებში

ტოკიო, 8 ივლისი. დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება ახალი აჯანყების შესახებ ნანკინის ჯარებში, რომლებიც მობილიზებული არიან სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე. მაგალითად, გუიჯოუს პროვინციის ჯარებმა, რომელნიც ძიუნში (გუიჯოუს პროვინციის დასავლეთი ნაწილი) იმყოფებიან, უარი სთქვეს ნანკინის სარდლობის ბრძანების შესრულებაზე მათი სხვა ადგილას გადაყვანის შესახებ. ხუნანის მეოთხე არმიის (რომელსაც სარდლობს, ხუნანის პროვინციის გუბერნატორი ხო ძიანი) შემადგენლობაში შემავალი ნაწილები, რომლებიც დაბანაკებული არიან უგანსა და ხუნძიანში (ხუნანის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი) აჯანყდნენ ნანკინის ხელისუფლების წინააღმდეგ და გაემართნენ ხუნანის და გუანსის პროვინციების საზღვრისაკენ, რათა შეუერთდნენ გუანსის არმიას (ადს).

◇

ტოკიოს სამხედრო სასამართლოს განაჩენი

ტოკიო, 8 ივლისი. როგორც გადმოგვცემენ, ტოკიოს სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომელიც თებერვლის ამბების მონაწილეთ გამოუტანეს, საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება. მოელიან, რომ მსჯავრდადებულთათვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს უახლოესი 5 დღის განმავლობაში მოიყვანენ სისრულეში (ადს).

საბჭოთა კავშირში

ამხ. ალკსნისის საპასუხო დარბაზობა

მოსკოვი, 8 ივლისი. გასული წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ავიაციის უფროსი გენერალი ფაიფრი, რომლის მიწვევითაც მუშურგლეხური წითელი არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. ი. ი. ალკსნისი მიმდინარე წლის ივლისის პირველ ნახევარში საპასუხო დარბაზობისათვის გაემგზავრება ჩეხოსლოვაკიაში. ამხ. ალკსნისს გაჰყვებიან ბრიგადის უფროსი ამხ. პტუხინი, მაიორი ამხ. შევჩენკო და მე-2 რანგის სამხედრო ინჟინრები ამხ. პრიმენკო და მარკოვი.

დელეგაცია გაფრინდება ოთხმოტორიანი თვითმფრინავით ანტ-6, რომლის ეკიპაჟი 7 კაცისაგან შესდგება; თვითმფრინავს წაიყვანენ მფრინავები იუბაშევი და შახტი (ადს).

სომხეთის მომღერალთა გუნდი კონცერტზე კრემლში

მოსკოვი, 8 ივლისი. სომხეთის სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო კონსერვატორიის მომღერალთა გუნდი, როგორც მომღერალთა გუნდების პირველი საკავშირო ოლიმპიადის ერთერთი საუკეთესო კოლექტივი, 7 ივლისს მონაწილეობას ღებულობდა კრემლის კონცერტში, რომელიც სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნებათა საქმეების საკავშირო კომიტეტმა მოაწყო.

— ძნელია სიტყვით გამოვთქვა ის სიხარული, რომელსაც მე ახლა განვიცდი,— განუცხადა საქ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირიჟორმა ტატულ ალთუნიანმა. ძვირფას და უაღრესად საყვარელ დიდ სტალინთან და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრა კრემლში მთელს სიცოცხლეს დამამახსოვრდება.

7 ივლისი ჩემს სიცოცხლეში ყველაზე სასიხარულო და ყველაზე ბედნიერი დღე იყო. მიხაროდა ჩემი თავისთვისაც და სომხეთის ხალხისთვისაც, რომელმაც მშვენიერი სიმღერები შექმნა. კრემლში ჩვენ შევასრულეთ ექვსი სიმღერა, „სალამი ბელადს" — მუსიკა სომხეთის დამსახურებული კომპოზიტორის სარქის ბარხუდარიანისა, სიტყვები პოეტ ელიშე ჩარენცისა, „ზანი-ზანი" — დამუშავებული კომპოზიტორ ყარა-მურზას მიერ, „ბილიბი" და „ტხკოლდა" დამუშავებული კომპოზიტორ სპირიდონ მელიქიანის მიერ, „მზხელის სიმღერა" — დამუშავებული კომპოზიტორ კომიტასის მიერ. ეს სიმღერა ჩვენ შევასრულეთ სოლისტის—სომხეთის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მარა-ტალიანის მონაწილეობით. უკანასკნელად შევასრულეთ სიმღერა „კახანი", კომპოზიტორ კომიტასის მიერ დამუშავებული.

ჩვენ ძალიან გულთბილად მიგვიღეს. ეს იყო დიდი ჯილდო ერთი წლის გულმოდგინე მუშაობისათვის.

მთელი სულით და გულით მადლობას ვუცხადებ სომხეთის მთავრობას [illegible] კოლექტივისადმი გულთბილი და ზრუნველი დამოკიდებულებისათვის. ამხანაგ სტალინთან და მის უახლოეს თანაშემწეებთან შეხვედრა გვავალებს კიდევ უფრო გულმოდგინედ მოვკიდოთ ხელი საგუნდო კულტურის ამაღლებას, სომხეთის მშრომელთა შორის საუკეთესო სიმღერათა პროპაგანდას, რესპუბლიკაში საგუნდო ხელოვნების განვითარებას.

გუნდის მთელ კოლექტივთან ერთად, თავისუფალი სომხეთის მთელ ხალხთან ერთად მინდა მთელი სულით და გულით შევძახო: „მადლობა ამხანაგ სტალინს სიხარულით აღსავსე და ბედნიერი ცხოვრებისათვის" (ადს).

სსრ კავშირი იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე

მოსკოვი, 8 ივლისი. 1 სექტემბერს იზმირში გაიხსნება ტრადიციული საერთაშორისო ბაზრობა, რომელიც ყოველწლიურად იმართება.

როგორც წინა წლებშიაც, ბაზრობაზე ახლაც იქნება საბჭოთა კავშირის დიდი პავილიონი.

7 ივლისს საკავშირო სავაჭრო პალატამ იზმირის ბაზრობაზე გაგზავნა შესავალი და სასაქონლო განყოფილებანი საბჭოთა პავილიონისათვის.

შესავალი განყოფილება, რომელიც სავაჭრო პალატის სამხატვრო სახელოსნომ გააფორმა, ფოტომონტაჟებით, ფერად-ფერადი დიაგრამებით გვიჩვენებს სსრ კავშირის სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კულტურისა და სხვა დარგებში. სპეციალური განყოფილება მიძღვნილი აქვს სსრ კავშირისა და თურქეთის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ჩვენებას.

სასაქონლო განყოფილების გაგზავნილ ექსპონატთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს ტექნიკური ექსპორტის საგნებს, როგორიცაა სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო მანქანები, ხარკოვის ქარხნის ტრაქტორი, ლითონმჭრელი და ხისდამამუშავებელი ჩარხები, ელექტრო-მოტორები, საზომი ხელსაწყოები, ლითონთა ნიმუშები, [illegible] სახელობის ქარხნის ბურთულსაკისრები, [illegible] ინსტრუმენტი და სხვ. პავილიონში ნაჩვენები იქნება აგრეთვე საბჭოთა ბამბეულის ქსოვილები, ბეწეული, ქიმიკალი, სასუქები, სამედიცინო ინსტრუმენტები, მედიკამენტები და სხვ.

გაფორმდება „საერთაშორისო წიგნის" მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურის სპეციალური განყოფილება.

იზმირში ბაზრობა 22 სექტემბრამდე გასტანს (ადს).

ანდრე ჟიდის სიტყვა

ლენინგრადის მწერალთა და მეცნიერთა კრებაზე.

ჩემი ჩამოსვლის მომენტიდან და იმ გულთბილი მიღების შემდეგ, რომელიც მე აქ მომიწყეს, დავინახე, რომ ჩემი გული უამრავი [illegible] ძაფებით დაუკავშირდა თქვენს ქალაქს, და ახლა, მომავალი გამგზავრების მოლოდინში, იგი ტკივილს განიცდის.

იმ გულთბილობამ, რომლითაც მე აქ შემხვდნენ, და რომელმაც უსაზღვროდ ამიჩუყა გული, იმ სილამაზემ, რომელიც მე აქ ვნახე, და ლენინგრადის რევოლუციური წარსულის მთელმა ბრწყინვალებამ პირველი ნაბიჯებიდანვე მომხიბლეს. მოსკოვი ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო იმით, რომ, როცა იგი ვნახე, ცოცხლად წარმოვიდგინე საბჭოთა კავშირის მთელი დიადი და სახელოვანი მომავალი.

მაგრამ ის შორეული ისტორიული მოგონებანი, რაც მოსკოვმა აღმიძრა, დაკავშირებული იყო უმთავრესად ნაპოლეონის ლაშქრობასთან, საფრანგეთის კაპიტალიზმის დამპყრობელურ ცდასთან, რომელიც ძალიან მალე მარცხით დამთავრდა. ლენინგრადში კი არქიტექტურის მრავალი ძეგლი მაგონებს ძალიან ახლობელ და ნაყოფიერ კულტურულ ურთიერთობებს, რომლებიც რუსეთსა და საფრანგეთს აკავშირებდნენ.

ამ წარსულ ურთიერთობაში, ამ სულიერ შეჯიბრებაში, რომელიც კულტურის საუკეთესო მხარეებს მოიცავდა და ყოველივე გაბედულსა და უახლესს აერთიანებდა, მე მინდა დავინახო შორეული წინამორბედნი და შეუცნობელი წინაგრძნობა იმისა, რამაც ახლანდელ მომენტში უნდა განახორციელოს ინტერნაციონალური კავშირი მთელი მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ ამავე დროს უნდა შევნიშნოთ, რომ წარსულში ამ ორი ქვეყნის ყოველგვარი კავშირი განისაზღვრებოდა დიდ ადამიანთა პირადი ურთიერთობებით სხვადასხვა მონარქებთან და რუსეთისა და საფრანგეთის ცალკეულ დიდბუნებოვან ადამიანთა ურთიერთობით. ხოლო ის ურთიერთობანი, რომლებიც ჩვენ ახლა გვაახლოვებს და რომელთა განმტკიცებასაც ყოველნაირად ვცდილობთ, სულ სხვა ნიშანს ატარებენ. ისინი აკავშირებენ მთელ ხალხებს, აერთიანებენ ინტელიგენციასა და მთელ მუშათა კლასს, რაც ჩვენ დღემდე არასოდეს გვინახავს ისტორიაში. ახლაც მე მარტო ჩემი სახელით კი არ მოგმართავთ. როცა საბჭოთა კავშირისადმი სიყვარულზე ვლაპარაკობ, მე გადმოგცემთ საფრანგეთის მშრომელთა უდიდესი მასის გრძნობებს. მე ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი აქ ყოფნა, ისევე როგორც ჩემი ამხანაგების ყოფნა, ხელს შეგვიწყობს განვაახლოთ ჩვენი ორი ხალხის კავშირი უკვე სულ სხვა საფუძველზე. მე მუდამ ვილაშქრებდი რასებს შორის აღმართული ზღუდის წინააღმდეგ, რომელიც ზოგიერთი ნაციონალისტის აზრით, გადაულახავია და რომელმაც, თუ მათ დავუჯერებთ, სამუდამოდ უნდა წაართვას ხალხებს იმის ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ გაუგონ ერთმანეთს და მიაღწიონ სულიერ ურთიერთობას. მე ბავშვობიდანვე მძაფრი გრძნობით ვეკიდებოდი იმას, რასაც მთავაზობდნენ, როგორც სლავური სულის ვითომდა უცხო, გაუგებარ საიდუმლოებას.

მე მქონდა შეგრძნობა მჭიდრო სულიერი ერთობისა თქვენი ლიტერატურის დიდ წარმომადგენლებთან, რომელთა გაგება და სიყვარული ვისწავლე მას შემდეგ, რაც ლიცეი დავტოვე.

გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, პუშკინი, უფრო გვიან — შჩედრინი, სოლოგუბი, ჩეხოვი და ბოლოს, შესანიშნავი გორკი (მე ვასახელებ მხოლოდ იმათ, ვინც ცოცხალი აღარ არის), რა გატაცებითა და რა დიდი მადლობის გრძნობით ვკითხულობდი მე მათ ვინაიდან ისინი მამდიდრებდნენ საერთოდ ადამიანისა და პირადად ჩემი გაგების განსაკუთრებით განსაცვიფრებელი ოსტატობით, ისინი აშუქებდნენ სულის ისეთ ხვეულებს, რომლებსაც სხვა ლიტერატორები, როგორც მე ეს მეჩვენებოდა, გამოუკვლეველს სტოვებდნენ. მე არასოდეს არ ვზოგავდი ძალღონეს, რათა გამეცნო საფრანგეთისათვის ძველი რუსული ლიტერატურა და თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურა და შემეყვარებინა ფრანგებისათვის ეს ლიტერატურა.

ჩვენ ხშირად ძალიან ცუდი ინფორმაცია გვაქვს, როგორც ერთი ისე მეორე მხრიდან. ზოგჯერ შეიძლება იყოს დიდი შეცდომები, ძალიან გულსატკენი ცდომილებანი. მაგრამ როგორც მე თვითონ, ისე იმ ამხანაგებსაც, რომლებიც მე და პიერ ერბარს შემოგვიერთდნენ: ჟაკ ლასტს, შიფრინს, დაბისს და გიიუს, რომელთაგან ორი კომუნისტური პარტიის წევრია, ყველას გვსურს, რომ ჩვენმა მოგზაურობამ საბჭოთა კავშირში ყველაფერი თვალნათლივ განგვიმარტოს, რათა ჩვენს ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ მოვახერხოთ რაც შეიძლება უკეთ გადავსცეთ ეს ფრანგ ხალხს, რომელიც განსაკუთრებული ინტერესით და დიდი ხალისით აკვირდება ყოველივე იმ ახალს, რაც საბჭოთა კავშირს მოაქვს ძველი სამყაროს შესაცვლელად (ადს).

◇ ◇ ◇

გ. ვ. ჩიჩერინის გარდაცვალების გამო

მოსკოვი, 9 ივლისი. განსვენებულ გიორგი ვასილის-ძე ჩიჩერინის ცხედარი გამოსამშვიდობებლად დასვენებულია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კონფერენც-დარბაზში.

9 ივლისს 17 საათზე კონფერენც-დარბაზში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი. კრემაცია მოხდება 18 საათსა და 30 წუთზე (ადს).

მოსავლის აღება და ლეწვა

(მიწსახკომის ცნობები)

5 ივლისისათვის თავთავიანი კულტურების აღება საქართველოში დაწყებული ჰქონდა 13 რაიონს. აღებული იყო სულ 30.134 ჰექტარი. აქედან საბჭოთა მეურნეობებში — 3.773 ჰექტარი, კოლმეურნეობებში — 24.683, ხოლო ერთპიროვნულ სექტორში — 1.678.

ცალკე რაიონების მიხედვით ასეთი სურათია: კასპის რაიონში აღებულია 95 ჰექტარი, გურჯაანისაში — 2.880, თელავისაში — 934, ყვარლისაში — 629, ლაგოდეხისაში — 6.737, ტფილისისაში — 1.431, ყარაიისაში — 2.245, ბორჩალოსაში — 1.776, ლუქსემბურგისაში — 1.161, საგარეჯოსაში — 553, სამტრედიისაში — 283 ჰექტ. აფხაზეთში აღებულია 12 ჰექტარი.

მოსავლის აღებაში ყველაზე წინ მიდის სიღნაღის რაიონი. აქ 47.700 ჰექტარიდან 5 ივლისისათვის აღებული იყო 11.398. [illegible] 7.700 ჰექტარზე მეტი [illegible], ე. ი. 40 პროცენტი [illegible].

ჩამორჩენილია ლეწვა. 5 ივლისისთვის საქართველოში გალეწილი იყო სულ 822 ჰექტარის მოსავალი, რაც მომკილი ფართობის 2,7 პროცენტს არ აღემატება. ლაგოდეხის რაიონს მომკილი 6.737 ჰექტარიდან მხოლოდ 26 ჰექტარის მოსავალი აქვს გალეწილი, ყარაიისას — 2.245 ჰექტარიდან 16 ჰექტარისა.

მომკილ ფართობთან შეფარდებით ლეწვის მიმდინარეობა ცალკე რაიონებში შემდეგ სურათს იძლევა: კასპის რაიონს გალეწილი აქვს აღებული მოსავლის 9,4 პროცენტი, გურჯაანისას — 15,5, თელავისას — 10,4, ყვარლისას — 5,5, ტფილისისას — 5,2, ბორჩალოსას — 4,5, საგარეჯოსას — 6,7 პროცენტი.

თავთავიანი კულტურების მასობრივად აღება დაიწყო. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები [illegible]

სტახანოვური წლის სესხი

8 ივლისისათვის გავრცელებული იყო 58.292.000 მანეთის სესხი

რესპუბლიკის [illegible] სესხის [illegible] გამოარკვია, რომ 2-დან 8 ივლისამდე საქართველოში გავრცელდა 58.292.000 მანეთის [illegible] (ბორჩალოს, [illegible]) და ზემო-სვანეთის რაიონებიდან) ცნობები არ იყო მიღებული.

რესპუბლიკის ქალაქებში 8 ივლისათვის გავრცელებული იყო 52.447.000 მანეთის სესხი, ხოლო რაიონებში — 5.845.000 მანეთისა.

გასული წლის შესაბამისი [illegible] რესპუბლიკაში გავრცელებული იყო 47.892.000 მანეთის სესხი.

მოსკომმა დაამთავრა ხელისმოწერა

მოსკოვი, 8 ივლისი. მოსკოვის მშრომელებმა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით [illegible] სესხზე ხელისმოწერა [illegible] 8 ივლისის [illegible] (ადს).

საქ. დეპეშათა სააგენტო უარჰყოფს

5 ივლისს იაპონიის უდიდესმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობა, ვითომ იაპონიის მოსკოველ ელჩ ბ-ნ ოტასა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ბ. ს. სტომონიაკოვს შორის 3 ივლისს გამართული საუბრის დროს ბ-ნ ოტას „საბჭოთა მთავრობისათვის სასტიკი პროტესტი განეცხადებინოს იაპონიის თევზსაჭერი გემების დაკავების წინააღმდეგ“ და ვითომ ამხ. სტომონიაკოვს ამაზე კონტრ-პროტესტით ეპასუხნოს.

5 ივლისს იაპონურმა გაზეთებმა უკვე დაიმოწმეს „ბ-ნ ოტას მოხსენება, მიღებული საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ“, და მოიყვანეს ახალი ვერსია ამხ. სტომონიაკოვის ბ-ნ ოტასთან 3 ივლისის შეხვედრის შესახებ. მათ აღნიშნეს, ვითომ „ბ-ნმა ოტამ უარჰყო სტომონიაკოვის კონტრ-პროტესტი და მიუთითა სსრ კავშირის შორეულ აღმოსავლეთის ხელისუფალთა უკანონო მოპყრობაზე იაპონიის თევზსაჭერ გემებთან თევზის ჭერის ახლანდელ სეზონში და აღნიშნა, რომ შორეულ აღმოსავლეთის ხელისუფალნი საგანგებო ზომებს მიმართავენ უბედურ მდგომარეობაში მყოფ პატარა გემებისადმი მიმართაც კი“.

იაპონური პრესის ამ ცნობებთან დაკავშირებით, საქ. დეპეშათა სააგენტოს კომპეტენტურ წრეებში კვლავ დაუდასტურეს, რომ ცნობა ბ-ნ ოტასთან სტომონიაკოვის 3 ივლისის საუბრის შესახებ, გამოქვეყნებული საბჭოთა გაზეთებში 4 ივლისს, სავსებით შეესაბამება საუბრის შინაარსს. ამასთან კომპეტენტურ წრეებში განაცხადეს, რომ იაპონიის დეპეშათა სააგენტო დომეი ცუსინის და იაპონიის გაზეთების ზემოხსენებული ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება და რომ იაპონიის ელჩს არც 3 ივლისის ხსენებულ საუბარში, არც შემდეგ არავითარი პროტესტი ან კონტრ-პროტესტი არ განუცხადებია იაპონიის იმ თევზსაჭერი გემების დაკავების შესახებ, რომელნიც ტერიტორიულ საბჭოთა წყლებში მტაცებლობას ეწეოდნენ. იაპონიის ელჩმა საერთოდ თავი აარიდა ამ თემაზე საუბარს და განაცხადა, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკების გამართვა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებთან მინდობილი აქვს იაპონიის კონსულს კამჩატკის პეტროპავლოვსკში.

კომპეტენტურ წრეებში განსაკუთრებით აღნიშნავენ მოჰყვანილ განცხადებას, რომელსაც ბ-ნ ოტას მიაწერენ, ვითომ საბჭოთა მესაზღვრე ხელისუფალნი აკავებენ იაპონიის პატარა თევზსაჭერ გემებს, რომელნიც თავისი გაჭირვებული მდგომარეობის გამო საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში ეძებდნენ თავშესაფარს. იგივე მტკიცება მოიპოვება დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობაში, რომელიც დამატებით გაავრცელეს 6 ივლისს. ნამდვილად კი ბ-ნ ოტას ასეთი განცხადება არ გაუკეთებია და არც შეეძლო გაეკეთებინა, ვინაიდან არცერთი ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, და ამხ. სტომონიაკოვმა, როცა ელჩს დაუსახელა საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში თევზის უკანონო ჭერისათვის იაპონიის თევზსაჭერ გემთა დაკავების ოთხი შემთხვევა, ზუსტად მიუთითა მას, რომ თვითეულ ამ შემთხვევაში იაპონიის შხუნები დააკავეს თევზის უკანონო ჭერის ადგილას ამის დამამტკიცებელი ნივთიერი საბუთებით, როგორიცაა თევზსაჭერი მოწყობილობა და ახლად დაჭერილი თევზი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მთელი უკანასკნელი დროის განმავლობაში იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა იაპონიის თევზსაჭერი გემი შემოვიდა საბჭოთა წყლებში, ზღვაზე უამინდობის გამო, მაგრამ ეს შემთხვევა მოხდა 4 ივლისს, ე. ი. უკვე ბ-ნ ოტასა და ამხ. სტომონიაკოვის საუბრის შემდეგ, და ამ შემთხვევაში საბჭოთა მესაზღვრე ხელისუფალთ დაუყოვნებლივ გაუშვეს იაპონიის გემი, როგორც კი მისი შემოსვლის მიზეზი გამოირკვა.

კომპეტენტურ საბჭოთა წრეებში გაოცებას გამოსთქვამენ ასეთი ბოროტი ჭორის გავრცელების გამო, რომელსაც არ შეიძლება შედეგად არ მოჰყვეს იაპონიის მეთევზე მოსახლეობის ამხედრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ხსენებულ წრეებში განსაკუთრებულ გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ ამ ცნობების გავრცელებისას იმოწმებენ იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებულ ინფორმაციას. (ადს)

◇ ◇ ◇

ჰიტლერის რაზმელების დემონსტრაცია დანციგში

ვარშავა. 8 ივლისი. პრესის ცნობებით, მდგომარეობა დანციგში კვლავ უაღრესად დაძაბულია. პეპეესელი „რობოტნიკი“ დანციგიდან მიღებულ დეპეშაში სწერს:

„დანციგში ყოველდღე ასობით მოიერიშენი ჩამოდიან გერმანიიდან. ქუჩაში ისეთი განწყობილება იგრძნობა, როგორც პუტჩის წინადღეს არის ხოლმე. ჰიტლერელთა რაზმების დემონსტრაციები გრძელდება“. (ადს)

○

ბერლინი. 8 ივლისი. („პრავდის“ საკ. კორესპონდენტისაგან). გუშინ დანციგში პოლიციის პრეზიდენტის განკარგულებით მოახდინეს ოპოზიციური პარტიების გაზეთების კონფისკაცია. უახლოეს დღეებში მოელიან განკარგულებას ყველა იმ ოპოზიციური გაზეთისა და გამომცემლობის სრულიად აკრძალვის შესახებ, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და ცენტრის პარტიას ეკუთვნის.

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგის“ ვარშაველ კორესპონდენტს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წრეებში განუცხადეს, რომ პოლონეთი პრინციპულად მზად არის შეუდგეს უშუალო მოლაპარაკებას დანციგის მთავრობასთან დანციგის საერთაშორისო ურთიერთობათა ახლად მოგვარების შესახებ.

კ. გოფმანი.

◇ ◇ ○

რეიტერის სააგენტო ინგლისის სამხედრო ღონისძიებათა შესახებ

ლონდონი, 7 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, მიღებული ცნობებით, ღონისძიებანი ინგლისის თავდაცვის განსამტკიცებლად აჩქარებული ტემპებით ტარდება. ევროპის მდგომარეობა,—სწერს სააგენტო,—მთავრობის წრეებში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. თავდაცვაზე დამატებით ხარჯებს სდებენ. კანონპროექტს დამატებით ასიგნებათა შესახებ არა მარტო საზღვაო ფლოტის, არამედ აგრეთვე არმიისა და საჰაერო ფლოტის მიმართაც, შეიტანენ 9 ივლისს.

ევროპის ამბების განვითარებამ, სააგენტოს ცნობებით, დაარწმუნა მინისტრები, რომ თავდაცვის კატეგორიულმა აუცილებლობამ უკანა რიგში უნდა დააყენოს ყოველგვარი სხვა მოსაზრება, მათ შორის დაბალანსებული ბიუჯეტის შენარჩუნების მოსაზრებაც (ადს).

ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესზე

(ტელეგრაფით „პრავდის“ ლონდონელი კორესპონდენტისაგან)

ლონდონი. 8 ივლისი. ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესი, რომელიც დღეს გაიხსნა, ისეა მოწყობილი, რომ მისი კონტაქტი ინგლისელ მუშებთან მინიმუმამდეა დაყვანილი. სხდომები იმართება ცენტრალურ ფეშენებელურ რესტორან „ხოლბორნში“. საზოგადოებისათვის ადგილი ძალიან ცოტაა.

შესავალი სიტყვა კონგრესზე წარმოსთქვა ამსტერდამის ინტერნაციონალის თავმჯდომარემ სიტრინმა, რომელიც ამავე დროს ინგლისის ტრედიუნიონთა გენერალური საბჭოს მდივანია.

ამსტერდამის ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მდივანმა შევენელმა გამოაცხადა ცნობები კონგრესის შემადგენლობის შესახებ. 132 დელეგატით წარმოდგენილია 22 ნაციონალური ცენტრი, მათ შორის გერმანია, ავსტრია, დანციგი. 35 დელეგატით წარმოდგენილია 18 საერთაშორისო პროფესიული სამდივნო. ზოგიერთმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, რომელნიც ამსტერდამის ინტერნაციონალში არ შედიან, კონგრესზე თავისი მეთვალყურე გამოგზავნა. ამ ქვეყნების რიცხვში არიან იაპონია და ინგლისის დომინიონები.

საღამოს სხდომაზე იხილავდნენ კონგრესის ძირითად საკითხს—პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობის შესახებ. ნორვეგიის დელეგაციამ შეიტანა რეზოლუცია შემდეგი წინადადებით: „საერთაშორისო ვითარების სერიოზულობის გამო“ დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა პროფკავშირებთან და პროფინტერნთან მოქმედების საერთაშორისო ერთიანობის შესახებ.

საერთაშორისო ერთიანობის მოწინააღმდეგეებმა სცადეს ხელი შეეშალათ საკითხის საჯაროდ განხილვისათვის. ჰოლანდიის წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება ნორვეგიელთა რეზოლუცია განსახილველად გადასცემოდა კომისიას, რომელსაც სხდომა დახურულ კარში ექნებოდა. მოხდა ერთგვარი არეულობა. ჰოლანდიელის წინადადებას ორჯერ უყარეს კენჭი. ხმები შუაზე გაიყო. ბოლოს გაიმარჯვა აზრმა, რომლის მიხედვითაც, საჭიროა ღია დისკუსია გაიმართოს თვით კონგრესზე.

ნორვეგიის დელეგაციას მხარი აქტიურად დაუჭირეს საფრანგეთისა და ესპანეთის წარმომადგენლებმა.

ნ. მაიორსკი.

◇

საფრანგეთის მინისტრთა თათბირი

პარიზი, 8 ივლისი. ტრიუმფალური თაღის ახლოს ფაშისტების მიერ პროვოკაციული მიზნით გამოწვეულ შეტაკებებთან დაკავშირებით, გაიმართა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ პრემიერი ბლიუმი, მინისტრები სალანგრო და დალადიე, აგრეთვე პარიზის პოლიციის პრეფექტი ლანჟერონი.

თათბირის შემდეგ სალანგრომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მთავრობას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთ შეტაკებათა წარმოშობას და რომ მთავრობამ მიიღო ზომები, რომელთა გამოყენებისას სისუსტე ოდნავადაც არ იქნება გამოჩენილი.

სალანგრო შეეხო ტრიუმფალურ თაღთან მომხდარ შეტაკებებს, და პრესის წარმომადგენლებს აცნობა, ფაშისტ დემონსტრანტთა რიცხვი 8 ათას კაცს აღწევდა და შეტაკებების დროს ფაშისტებმა 100-ზე მეტი კაცი დასჭრეს (ადს).

სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვა

ლენინის მითითება შესრულებულია

ახალი კონსტიტუციის პროექტიდან მე მინდა რამდენიმე საკითხს შევეხო.

ამ პროექტით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები —საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი უშუალოდ შედიან საბჭოთა კავშირში. მე კარგად მახსოვს ბრძოლა ქართველებსა და სომხებს შორის წინათ. ამ ბრძოლას აღვივებდნენ ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული პარტიები — მენშევიკები და დაშნაკები. ისინი ამიერ-კავკასიის ერებს ერთმანეთს უსევდნენ. იყო მუდამ შუღლი და მტრობა ერებს შორის. ახლა, კი როცა ძველს ახალთან ვადარებ, ჩემთვის აშკარა ხდება, თუ რაოდენ გავიზარდეთ ამიერ-კავკასიის ხალხები, როგორ შევმჭიდროვდით. ყველას ძვალსა და რბილში გაუჯდა მოძმე ხალხთა სიყვარული. ცალკე რესპუბლიკები გაიზარდნენ, განმტკიცდნენ. ლენინის მითითება, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია გადაიქცეს მშვიდობიანობის ორგანოდ, უკვე შესრულებულია. ჩვენს მეზობლებს სომხებს და აზერბეიჯანელებს ჩვენთან არავითარი მტრობა არა აქვთ და არც ჩვენ გვაქვს მათთან რაიმე სარჩუბარი და სადაო. ამიტომ ფედერაციის ლიკვიდაციის საკითხი სავსებით დროულად მიმაჩნია.

ძველი არჩევნები ბუნდოვანად მახსოვს, მაგრამ ვიცი, თუ რა წესით იყო მამასახლისის არჩევა. ეს გახლდათ თემის უფროსი, რომელიც ქრთამს იძლეოდა იმისათვის, რომ არჩეული ყოფილიყო.

ჩვენი კონსტიტუციის პროექტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ არჩევნებში მონაწილეობს ყველა მშრომელი, ქალი და კაცი, და არავის არა აქვს უპირატესობა არჩევნებში. ამიტომ მე სულით და გულით მივესალმები ახალი კონსტიტუციის პროექტს.

მე შოკურად ვმუშაობ პირველ ელექტრო-ღუმელზე, კონსტიტუციის პროექტი ენერგიასა და ხალისს მმატებს მუშაობაში. მე გეგმით ცვლაში უნდა გამოვადნო 11 ტონა ფერომარგანეცი, ფაქტიურად ვადნობ 14-15 ტონას და ვიბრძოლებ იმისათვის, რომ მივაღწიო 18 ტონის გამოდნობას.

აკ. ნებიერიძე.

პირველი ელექტროღუმელის სტახანოველი

საშუალო განათლება სავალდებულო იყოს

ახალი კონსტიტუციით საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს ენიჭება განათლების მიღების უფლება. საბჭოთა პირობებში აღზრდილი ახალგაზრდობა შეიძლება ვერც კი გრძნობდეს ამ მუხლის მთელ მნიშვნელობას. ჩვენთვის, ძველი მუშებისათვის, ის ბევრის მეტყველია.

ძველად მუშას სად ჰქონდა საშუალება თავისი შვილებისათვის განათლება მიეცა. მარტო სწავლის გადასახადი გიმნაზიებში 80 მანეთს შეადგენდა. და თუ მშობელს რამდენიმე შვილი ჰყავდა, მაშინ ხომ ის უბედური მამა იყო: სურვილი დიდი ჰქონდა სასწავლებელში მიეცა ბავშვები, მაგრამ მატერიალური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლეოდა.

მე ექვსი შვილი მყავს. საბჭოთა ხელისუფლება რომ არ დამხმარებოდა მათ აღზრდაში, გამიჭირდებოდა მათთვის განათლების მიცემა. ახლა კი ისინი ექვსივე ნასწავლია. ექვსი შვილიდან სამი ქალია, სამი ვაჟი. სამივე ქალი ახლა მასწავლებელია, ერთმა ვაჟმა საშუალო სასწავლებელი დაამთავრა და შოფერობას მოჰკიდა ხელი, მეორე მეთაურთა სკოლაში სწავლობს და მალე წითელი ლეიტენანტი იქნება, ხოლო უმცროსი 15 წლისაა და მერვე კლასში მეცადინეობს.

ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ ექვსი სასარგებლო მოქალაქე მივეცი ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

დღეს ყველა მამას აქვს საშუალება კულტურულ ადამიანებად გაზარდოს თავისი შვილები. საჭიროა მხოლოდ, რომ შვილებმა გამოიჩინონ სწავლის სურვილი. მე მინდა დამატება შევიტანო კონსტიტუციის კანონპროექტის მე-122 მუხლში, რომელშიაც ლაპარაკია განათლების უფლებაზე. ამ მუხლს უნდა დაემატოს მითითება, რომ განათლება შვიდწლედის ფარგლებში სავალდებულოა საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქისათვის. ეს დამატება საჭიროა იმიტომ, რომ ზოგ ახალგაზრდას კიდევ არ სურს სწავლა, უსწავლელი და მცირემცოდნე კი ჩვენს ქვეყანაში არ უნდა იყოს.

ნესტორ კუნკულაძე

ახალციხის ხეტყის სახერხი ქარხნის სტახანოველი

◇ ◇ ◇

რაიონული პროკურორის ღირსების საქმე

კონსტიტუციის მე-116 მუხლში აღნიშნულია, რომ რაიონულ პროკურორებს ნიშნავენ მოკავშირე რესპუბლიკათა პროკურორები და მათ ამტკიცებს ს.ს.რ. კავშირის პროკურორი. მე-117 მუხლი კი განმარტავს: „პროკურატურის ორგანოები თავის ფუნქციებს ახორციელებენ ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოსაგან დამოუკიდებლად და ემორჩილებიან მხოლოდ ს.ს.რ. კავშირის პროკურორს“.

ამ ორი მუხლით აშკარაა, რომ რაიონულ პროკურორებად შერჩეული იქნებიან გამოცდილი და ავტორიტეტიანი მუშაკები, რომელთაც აქვთ უნარი სავსებით გაამართლონ პარტიისა და ხელისუფლების ნდობა.

რაიონულ პროკურორებს უდიდესი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ახალი კონსტიტუციით. პროკურორებმა საბოლოოდ უნდა აღკვეთონ თავის პრაქტიკაში ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინება, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეპყრან მშრომელთა საჩივრებს, აღმოფხვრან ის დაუდევრობა, რომელიც კიდევ ახასიათებს ჩვენს დღევანდელ მუშაობას და რაც მთავარია, ვიყოთ დამოუკიდებელნი ჩვენს მუშაობაში—ასეთია დასკვნა.

სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე დამუშავებული კანონმდებლობა, რომელიც სოციალისტური საზოგადოების კანონმდებლობა იქნება, აყენებს მოთხოვნილებას — რაიონულ პროკურორებად შერჩეულ იქნენ ყველაზე სპეტაკი, ყველაზე მტკიცე და ენერგიული მოქალაქეები.

სამტრედიის რაიპროკურორი — დ. ესაკია.

„ვინც არ მუშაობს ის არა სჭამს“

„ვინც არ მუშაობს, ის არა სჭამს“ —ასეა ახალ კონსტიტუციაში. წინათ კი, როცა მე ახალგაზრდა ვიყავი, ეს ასე როდი იყო. ვინც არ მუშაობდა, ის სჭამდა, ხოლო ვინც მუშაობდა, მას შიმშილით კუჭი ეწვოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩემს ზურგზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ სხვა ყველაფერი განმიცდია. რამდენი შიმშილი, რამდენი ტანჯვა და წამება მახსოვს წყეული წარსულიდან. რაჭაში ალექსანდრე ბაქრაძეს 8 თვე ვემსახურე, დღედაღამე ვმუშაობდი და ანგარიში რომ გამისწორა, ფუთნახევარი სიმინდი მერგო. რა მათხოვრული გასამრჯელოა! წარსული ცხოვრების შედარება დღევანდელთან ხომ შეუძლებელია.

შარშან 400 შრომადღე გამოვიმუშავე და მივიღე ორი ათასი მანეთი ფულად, 1200 კილოგრამი პური და 400 კილოგრამი სიმინდი. ამ შემოსავლით ჩემი ოჯახი საამურად ცხოვრობს. მე 80 წლისა ვარ, მაგრამ ჩემ თავს მოხუცს არ ვეძახი, რადგან გული ყოველმხრივ მთელი მაქვს. ახალმა ცხოვრებამ გამაკაჟა. ახლა ჩვენს სოფელში ყველა მუშაობს, ყველა გემრიელად სჭამს ალალ ლუკმას.

კონსტიტუციის მე-120 მუხლი ეხება მოხუცებულობაში მოქალაქეთა მატერიალურ უზრუნველყოფას. აქ მხოლოდ მუშებსა და მოსამსახურეებზეა ლაპარაკი. ჩემის აზრით, საჭიროა აქ კოლმეურნეებიც იყვნენ მოხსენებული.

ფარნა გაგნიძე.

ამხ. ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი (ლაგოდეხის რაიონი)

○

ჩემი მოსაზრებანი

ახალი სტალინური კონსტიტუცია უდიდეს ენერგიასა და სიხარულს მმატებს. მე დარწმუნებული ვარ (და განა მარტო მე?), რომ გლეხის გაჭირვებული მდგომარეობა სამუდამოდ დავიწყებას მიეცა. კოლმეურნეობამ ადამიანური ცხოვრების საშუალება მოგვცა.

ახალმა კონსტიტუციამ ჩვენს კოლმეურნეობაში უდიდესი სიხარული და ახალ გამარჯვებათა წყურვილი გამოიწვია; ჩვენ ახალი საწარმოო ვალდებულება ვიკისრეთ: კოლმეურნეებმა ერთხმად დაადგინეს ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოსვლას ვუპასუხოთ გეგმების გადაჭარბებით შესრულებით: ჰექტარზე 16 ცენტნერი სიმინდის ნაცვლად წელს უნდა მოვიყვანოთ 25 ცენტ. ამ ვალდებულების შესრულება საუკეთესო პასუხი იქნება სტალინურ კონსტიტუციაზე.

სავსებით ვეთანხმები გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ამხ. ე. ფასურიშვილის წინადადებას მე-9 მუხლის შესახებ. ჩემის აზრით, მეცხრე მუხლი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

„... კანონით დროებით დაშვებულია ერთპიროვნულ გლეხთა და შინამრეწველთა წვრილი კერძო მეურნეობა“. აქ დამატებული სიტყვა „დროებით“ ჩემის აზრით სამართლიანია და შეტანილ უნდა იქნას ახალ კონსტიტუციაში.

მუხლი 141 შემდეგნაირად უნდა შესწორდეს.

„კანდიდატთა წამოყენების უფლება უზრუნველყოფილია მშრომელთა საზოგადოებებისათვის: კომუნისტური პარტიული ორგანიზაციებისათვის, პროფესიული კავშირებისათვის, კოოპერატივებისათვის, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისათვის, კულტურული საზოგადოებებისა და კოლმეურნეობებისათვის“. დამატება „კოლმეურნეობებისათვის“ მიზანშეწონილად მიმაჩნია.

ონისიმე სალიქანძე

ორთქლმავალთა და ელმავალთა შემკეთებელ ქარხნის მუშების ერთდღიანი დასასვენებელი სახლი პლეხანოვის კლუბში. **სურათზე:** გამოსასვლელ დღეს მოლზე ჩრდილში დამსხდარი მუშები არჩევენ კონსტიტუციის პროექტს (კითხულობს ნაზარბეკოვი)

ს. ბახტაძე

ტუნგოს საკავშირო კანტორის მმართველი

ტუნგოს კულტურა საქართველოში

საბჭოთა სუბტროპიკების წამყვან კულტურათა შორის ტუნგოს ხის სამრეწველო კულტურა თავისი მნიშვნელობითა და პლანტაციების ხვედრითი წონით მეტად თვალსაჩინო ადგილს იჭერს.

პარტიისა და ხელისუფლების დიდი ყურადღება ტუნგოს ხის განვითარებისადმი აიხსნება იმ განსაკუთრებული როლით, რომელსაც ამ ხის ზეთი ასრულებს ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის მნიშვნელოვანი დარგის მაღალხარისხოვანი ლაქებისა და სალებავების წარმოების განვითარებაში. ტუნგოს კულტურა სხვა სუბტროპიკულ კულტურებს შორის ყველაზე უფრო ახალგაზრდაა. მას ჩვენში სულ ოთხი-ხუთი წლის განვითარების ისტორია აქვს.

მიმდინარე წლის პირველ მაისისათვის ტუნგოს პლანტაციების საერთო მასივი ყველა სექტორში 4.704,7 ჰექტარს უდრის.

1936 წ. ტუნგოს გაშენების გეგმა — 3000 ჰექტარზე ყველა რაიონმა ყველა სექტორში გადაჭარბებით და დროულად შეასრულა. გეგმა უზრუნველყოფილი იყო სათანადო ხარისხის სარგავი მასალით.

სადირექტივო ორგანოების მითითებით ტუნგოს კულტურის განვითარება 1936 წლიდან ძირითადად საკოლმეურნეო სექტორის ხაზით მიმდინარეობს. ამჟამად კოლმეურნეობებში 3600 ჰექტარი ტუნგოს ფართობი გვაქვს. დამტკიცებულია მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის ტუნგოს პლანტაციების გაშენების გეგმა 10.000 ჰექტარის ოდენობით. 1936 და 1937 წ. ტუნგოს პლანტაციების გაშენებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი წლებია. 1937 წლისათვის ტუნგოს კულტურის გასაშენებლად უნდა მომზადდეს 5.400 ჰექტარი ფართობი. დამტკიცებული გეგმის შესასრულებლად წელს ტუნგოს კანტორის სანერგეებში აღმოცენებულ და მომზადებულ უნდა იქნეს სულ მცირე 2 მილიონი ტუნგოს ხის ნერგი.

ჩვენს წინაშე დასმული ამოცანა მოითხოვს ტუნგოს სანერგეთა მთელი კოლექტივის, პირველ რიგში სტახანოველი მუშების თავგამოდებულ ბოლშევიკურ მუშაობას დავალების შესასრულებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ დასახული ამოცანის შესრულება გვიძნელდება ტუნგოს თესლის დეფიციტის პირობებში. სამწუხაროდ, წელს კიდევ დაგვჭირდა სათესლე მასალის იმპორტი, ისიც არასაკმაო რაოდენობით.

აღნიშნული გარემოება მთელი სიმწვავით აყენებს საკითხს—გადამუშავებულ იქნას ტუნგოს ნერგის გამოყვანის აგროტექნიკა ისეთ აგროღონისძიებათა დამატების თვალსაზრისით, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ თესლის აღმოცენების მაღალი პროცენტი და აღმოცენებული ეგზემპლარების დაჩითილებისა და გაზრდის ისეთი წესი, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს დანაკარგს და არა სტანდარტული მასალის რაოდენობას.

მიმდინარე წლის 26 მარტს ტუნგოს საკავშირო კანტორის მიერ მოწვეულმა მეურნეობების და სანერგეების აგრონომთა, ტუნგოს პრაქტიკოსთა თათბირმა მუშა სტახანოველებთან ერთად, შესაძლებლად სცნო აყვანილ იქნას აღმოცენების პროცენტი 70-მდე, ნაცვლად გასული წლის 50-სა, ხოლო დანაკარგისა და არა სტანდარტულის პროცენტი დაყვანილ იქნას 10-15 პროცენტამდე ნაცვლად გასული წლის 40 %-სა.

ტუნგოს სანერგეების მუშა სტახანოველთა და აგროტექნიკურ პერსონალს შორის უკვე გაიშალა სოცშეჯიბრება დასახელებული მაჩვენებლების ირგვლივ. სანერგეებში მასალის გამოყვანის პარალელურად მიმდინარე წელს ტუნგო ითესება პლანტაციაში _ მუდმივ ადგილას. 1937 წელს პლანტაციების ნაწილი ადგილზე დათესვის წესით გაშენდება.

1936-37 წლები ტუნგოს პლანტაციების გადაჭრით გაფართოებასთან ერთად უნდა გადავაქციოთ ტუნგოს მაღალმოსავლიანობისათვის გადამწყვეტ ღონისძიებათა გატარების წლებად.

გადაუდებელი საბრძოლო ამოცანა, რომელიც დგას პარტიული ორგანიზაციების, ტუნგოს კანტორის და მთელი საკოლმეურნეო სექტორის წინაშე ეს არის ტუნგოს ხის მოსავლიანობის პრობლემა. დროა განსაკუთრებით გავამახვილოთ სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა ყურადღება ტუნგოს კულტურის მოსავლიანობის გადიდებაზე.

1936 წლის გაზაფხულზე ტუნგოს პლანტაციების ფართობი 4707,7 ჰექტარს მიაღწევს. 1937 წელს კი ტუნგოს კულტურა 10.000 ჰექტარი გვექნება. ეს ციფრი უკვე აღემატება ციტრუსების ახლანდელ ფართობს და დაკავებულია სივრცით მხოლოდ ჩაის ჩამორჩება საგრძნობლად. 1931-32 წლის ნარგავები უკვე შარშან მსხმოიარე გახდა. მიმდინარე წელს მოსავალს მივიღებთ 1933-34 წლ. გაშენებულ პლანტაციებზე. ორი-სამი წლის მანძილზე ამჟამად გაშენებული ყველა მასივი მთლიანად მსხმოიარე გახდება.

ყოვლად დაუშვებლად დაბალი პირველი მოსავალი, რომელიც მიღებულ იქნა შარშან ჯიხანჯურის მეურნეობაში, — თვალსაჩინოს ხდის მთელ რიგ სერიოზულ აგროტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის დეფექტებს, რომელნიც სასწრაფოდ გამოსწორებას მოითხოვენ.

ტუნგოს ხის გაშენებისა და მოვლის 1935 წლამდე არსებული წესი სერიოზულ შესწორებას მოითხოვს. შემცდარია შეხედულება თითქოს ტუნგო ტყის კულტურა იყოს და ამიტომ შეუძლიან ნაკლები მოვლით და მზრუნველობით დაკმაყოფილდეს. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჯიხანჯურის მეურნეობაში პირველი მოსავალი ძალიან მცირე მივიღეთ, ნარგავების ინვენტარიზაციამ გვიჩვენა, რომ ჯიხანჯურის მეურნეობაში ტუნგოს დაღუპვის მეტად მაღალი პროცენტი გამოწვეული იყო ნარგავის არადამაკმაყოფილებელი მოვლით. როგორც ირკვევა ტუნგოს გაშენებისას აქ ელემენტარული აგროტექნიკური პირობები არ იყო დაცული. მცენარეს ამოუძირკავ ფართობებზე რგავდნენ. მეტად ღრმა და ვიწრო ორმოებს, რომლებშიაც ნარგავს ათავსებდნენ, წლობით დაუმუშავებელსა სტოვებდნენ. არ ხდებოდა პლანტაციის გადაბარვა. ნარგავებს არ ეძლეოდა ორგანული სასუქი. ბევრ შემთხვევაში არც მინერალური, რის გამო ხეები ძალიან დასუსტდა, მსხმოიარობაც დაბალი ჰქონდათ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ორგანიზაციის ის წესი, რომელიც უკანასკნელ წლამდე არსებობდა — პლანტაციების სრული გაუპიროვნება, ხოლო შრომის ანაზღაურებაში გათანაბრება-დამღუპველ გავლენას ახდენდა ტუნგოს განვითარებაზე.

ტუნგოს საბჭოთა მეურნეობების ტერიტორია უკანასკნელ წლამდე არ არის დაყოფილი აგრო-საწარმოო რაიონებად და საწარმოო უბნებად. 1936 წლის 1-ლ ივნისისათვის არ გვქონდა არცერთი ბრიგადა, რომელიც რომელიმე გარკვეულ ნაკვეთზე იყოს მიმაგრებული, პლანტაციების მოვლის სრული გაუპიროვნება და კულტურის გაშენების ზემოთ მოყვანილი პრიმიტიული აგროტექნიკა, რასაკვირველია უარყოფით შედეგს გამოიღებდა.

დასახელებული დეფექტების სასწრაფოდ გამოსასწორებლად მიღებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები: პლანტაციები რიგებს შუა ამოძირკულ იქნა ტუნგოს ხის თვითეული ძირის ირგვლივ. ფართობი დიამეტრებში მეტრის მანძილზე ღრმად გადაიბარა. პლანტაციებში შეტანილ იქნა სათანადო დოზით ორგანული სასუქი. ჩატარდა პლანტაციების კაპიტალური რემონტი.

კობისა და მოქვის მეურნეობებში უკვე ჩატარებულია შინასამეურნეო მიწათმოწყობა. ხდება პლანტაციების საწარმოო ნაკვეთებად დაყოფა და მათი მუდმივ ბრიგადებზე მიმაგრება.

ჯიხანჯურისა და ბუკნარის მეურნეობებში შინასამეურნეო მიწათმოწყობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. 20 ივნისიდან ყველა მეურნეობაში გაიშალა ნარგავთა პასპორტიზაცია. მიმდინარე წლის დამლევს არც ერთი გაუპიროვნებული ნაკვეთი არ უნდა გვქონდეს.

ამოცანა ის არის, რომ არსებული პლანტაციების მოვლის გაუმჯობესებასთან ერთად მთელი სერიოზულობით დაისვას ტუნგოს ხის მაქსიმალური მოსავლის მომცემი სახეების გამოყვანის საკითხი. პლანტაციების დათვალიერებისას თვალსაჩინო ხდება, რომ არის მეტად საგრძნობი პროცენტი ეგზემპლარებისა, რომლებიც ნაყოფს სრულებით არ იძლევა. თვით ნაყოფის მომცემი ეგზემპლარები მსხმოიარობის მიხედვით ერთი-მეორისაგან ძლიერ განსხვავდებიან. სამეცნიერო-საცდელ ორგანიზაციებისა და ტუნგოს პრაქტიკოსების ამოცანაა, რაც შეიძლება სასწრაფოდ გამონახონ ხის ყველაზე მოსავლიანი, ყინვის გამძლე და ისეთი სახეები, რომლებზეც ნაყოფი ადრე მწიფდება, უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მომავლისათვის არცერთი ჰექტარი არ შენდებოდეს მოსავლიანობის მხრივ შეუმოწმებელი თესლით. **მომავალში ისეთ მდგომარეობას უნდა მივაღწიოთ, რომ პლანტაციები მთლიანად შენდებოდეს მოსავლიანობის მხრივ შემოწმებული ეგზემპლარებისაგან.**

უკვე ამჟამად ტარდება არსებულ პლანტაციებზე უნაყოფო ეგზემპლარების ნაწილის გადამყნა. მიმდინარე წელს ბუკნარის სანერგეში ჩატარებულ იქნა სანერგე მასალის საცდელი გადამყნაც. საჭიროა ამ დარგში მიღებული საცდელი საგამოკვლევო სახის შედეგები სასწრაფოდ გადავიტანოთ მეურნეობებში და მივცეთ მათ ფართო საწარმოო ხასიათი. საჭიროა თვით მეურნეობანი გადავაქციოთ სამეცნიერო საგამოკვლევო ორგანიზაციებისათვის მასობრივ საწარმოო ცდების დასაყრდენ ბაზებად. შეუწყნარებელია, რომ საკავშირო საცდელ საგ. ინსტიტუტი ზემოთდასახელებული საკითხების დაყენების გარდაქმნის საქმეში ჯერ კიდევ კუდში მისჩანჩალებს, მოკლებულია ყოველგვარ ინიციატივას და დაუშვებელ გულგრილობას იჩენს აღნიშნული საკითხებისადმი.

აუცილებელია სამეცნიერო-საგამოკვლევო ორგანიზაციებმა კერძოდ საქ. სამეც. სუბტროპიკულმა ინსტიტუტმა და ბათომის ბოტანიკურმა ბაღმა აღნიშნულ საკითხებზე თავისი ავტორიტეტული სიტყვა სთქვას. ტუნგოს პლანტაციები დიდი სისწრაფით ვითარდება. საჭიროა მთელი აგრონომიული სამეცნიერო საკვლევო აზრის და ტუნგოს ძირითადი მეურნეობების მუშათა აგროტექნიკური პერსონალის შემოქმედებითი ინიციატივის მობილიზაცია — დასმული საკითხების ირგვლივ.

შრომის ანაზღაურების პროგრესული სისტემის შემოღებამ გადაჭრით დააყენა გამომუშავების ნორმების გადასინჯვის საკითხი. სტახანოვური მოძრაობის განვითარებამ აშკარა გახადა არსებული ნორმების მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

ჯიხანჯურის მეურნეობაში ორმოების ამოღების ნორმა შარშან იყო 18, მიმდინარე წელს — 30. ორმოების შევსება გასულ წელს იყო 14, წელს არის 40. ფართობის ამოძირკვაზე გასულ წელს იხარჯებოდა 175 კაცდღე. მიმდინარე წელს იხარჯება 125. თოხნაში ერთი დღის გამომუშავება გასულ წელს იყო 60 ძირი, წელს არის 80.

ყველა სახის სამუშაოებში ჩვენ ვღებულობთ შრომის ნაყოფიერების აწევას.

დაწესებულ ახალ ნორმებს ზოგი სტახანოველი მუშა ბევრჯერ აჭარბებს. მაგალითად სტახანოველი დანიელ დოლიძე ცვლის ნორმას 55 პროც. აჭარბებს, თოხნისას 65 პროც.; დაგვისას 100 პროც.; ქალი აკულინა ივანოვა თოხნის ნორმას 30 პროც. აჭარბებს, მარგვლისას 75 პროც. მისი თვიური ხელფასი 397 მანეთს აღწევს.

თვითკრიტიკის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სტახანოვური მოძრაობა ტუნგოს მეურნეობებში სუსტად არის გაშლილი. ამის მიზეზად შემდეგი პირობები უნდა ჩაითვალოს: შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობა — პლანტაციებისა და ცალკეულ სამუშაოთა სრული გაუპიროვნება, რომელსაც მიმდინარე წლის პირველ ივნისამდე ჰქონდა ადგილი, მუშახელის დენადობის მაღალი პროცენტი. რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობით. უკმარისი დახმარება მოწინავე მუშებისადმი, შრომის რაციონალიზაციის დარგში, კერძოდ სამუშაო ინსტრუმენტების ცუდი ხარისხი, რაც შრომის ნაყოფიერებას ძალიან ამცირებს. არადამაკმაყოფილებელი მასობრივი პოლიტიკური მუშაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული არანორმალური პირობები, რაც სტახანოვური მოძრაობის განვითარებას ხელს უშლიდა, ამჟამად თანდათან სწორდება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტახანოველთა ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესებას. შრომის ორგანიზაციის საქმეშიაც მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული. სტახანოველთა რიგებიც თანდათან იზრდება. მიმდინარე წელი ტუნგოს სისტემის მეურნეობისათვის უდიდესი გარდატეხის წელია.

საქ. კომპარტიის ცეკას ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, კერძოდ ამხ. ლ. ბერიას ყოველდღიური დახმარებითა და მზრუნველობით დასახული ამოცანა პირნათლად იქნება შესრულებული.

ვემზადოთ საკავშირო გამოფენისათვის

დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის დადგენილებით 1937 წელს, ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავზე, მოსკოვში ეწყობა დიდი სასოფლო-სამეურნეო საკავშირო გამოფენა. ეს გამოფენა ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ შესძლეს ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ ძველი დაჩაჩული მეურნეობიდან ახალი, მსოფლიოში უმსხვილესი მექანიზებული სოფლის მეურნეობის შექმნა, თუ რა ბრძოლები ჩაატარა პარტიამ ტროცკიზმის მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების წინააღმდეგ იმისათვის, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე მოესპო კულაკობა, როგორც კლასი, მოეწყო ათიათასობით კოლმეურნეობა, ათასობით საბჭოთა მეურნეობა და მტს-ი, წინათ უმიწაწყლო, მშიერი და გაძვალტყავებული გლეხობა დაეყენებინა შეძლებული, კულტურული და მხიარული ცხოვრების გზაზე.

გამოფენამ უნდა გვიჩვენოს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების შედეგად როგორ ისპობა საბჭოთა კავშირში განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, როგორ წარმატებით წყდება მეცხოველეობის და ტექნიკური კულტურების პრობლემები და საერთოდ რა როლი შეასრულა ინდუსტრიალიზაციის სტალინური პოლიტიკის ბრწყინვალედ გამარჯვებამ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაში.

თავისი შინაარსით გამოფენა იქნება მეტად მრავალფეროვანი. აქ წარმოდგენილი იქნება ისეთი საპროგრამო განყოფილებანი, როგორიცაა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, საბჭოთა კავშირის ბუნებრივი პირობები და სოფლის მეურნეობა, სსრკ ხალხთა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და მტს-ები, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია, სოციალისტური კულტურა და სოფლის მოსახლეობის ყოფაცხოვრება, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობა, სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაცია და სხვ. თვითეული განყოფილება დაყოფილი იქნება ქვეგანყოფილებებად და იმგვარად მოწყობილი, რომ მოგვცემს ჩვენი სოფლის მეურნეობის ნამდვილ სურათს წარსულში და ახლა.

გამოფენაზე მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის ბრძოლა საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში მოსავლიანობის გადიდების, ნამატის შენარჩუნების, მესაქონლეობაში პროდუქტიულობის აწევისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის ნამდვილ სტალინურ ლაშქრობად გადაიქცა. რაც შეეხება საქართველოს, ამ მხრივ მუშაობა აქ ძალიან ჩამორჩენილია. მიუხედავად იმისა, რომ გამოფენის გახსნამდე 16 თვე-ღა დარჩა, საქართველოს რაიონების უმეტესობა, ჯერაც არ შესდგომია მზადებას. ბევრ რაიონში გამოყოფილი არ არის საგამოფენო კომიტეტი, რომელმაც ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელოს მზადების მთელ საქმეს, ხოლო სადაც კომიტეტი გამოყოფილია, არც იქ გაშლილა სათანადო მუშაობა. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ იმისათვის რომ გამოფენის მნიშვნელობა და პირობები გააცნონ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს.

საქართველოს სახკომსაბჭოსთან უკვე შექმნილია საკავშირო გამოფენის რესპუბლიკური კომიტეტი. კომიტეტმა დაგზავნა ადგილებზე სახელმძღვანელო ინსტრუქციები და პროგრამები, მაგრამ ზოგგან ისინი ჯერ დამუშავებული არ არის და უცნობია კოლმეურნეთა ფართო მასებისათვის. ასეთ პირობებში რაიმე პრაქტიკული მუშაობის გაშლაზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ შეიძლება.

რა არის ახლა საჭირო იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ გამოსწორდეს აღნიშნული ნაკლოვანებები? პირველ ყოვლისა საჭიროა ყველა რაიონში გამოიყოს გამოფენის კომიტეტები. თვითეულ კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის და მტს-ის მუშას გავაცნოთ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მნიშვნელობა, ფართოდ განვუმარტოთ მათ, რომ საკავშირო გამოფენაზე გასაგზავნი ექსპონატების შერჩევის ძირითადი საფუძველი იქნება ის, თუ რა ხარისხითა და რა რაოდენობით ექნება შესრულებული ამა თუ იმ მეურნეობას ხორბლის, სიმინდის, ვენახის, ბაღის, ბოსტნეულის, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარების გეგმები, აგრეთვე ის, თუ როგორ იქნება გაშლილი სტახანოვური მოძრაობა.

საკავშირო გამოფენის წინ ყველა რესპუბლიკაში მოეწყობა სარაიონთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები აქედანვე უნდა შეუდგნენ როგორც სარაიონთაშორისო, ისე საკავშირო გამოფენაზე წარსადგენი ექსპონატების მომზადებას. სუბტროპიკული კულტურების რაიონებმა პირველ რიგში ყურადღება უნდა მიაქციონ ლიმონის, მანდარინის და ფორთოხლის ისეთი ხეების შერჩევას გამოფენისათვის, რომლებიც (ადგილზე ჩატარებული ცდებისა და ჰიბრიდიზაციის შედეგად) უძლებენ დიდ ყინვებს და ყოველწლიურად იძლევიან უხვ მოსავალს. მეცხოველეობაში გამოვლინებულ უნდა იქნას პირუტყვის ისეთი ჯიშები, რომლებიც სწრაფად მრავლდებიან და ხასიათდებიან მაღალი პროდუქტიულობით. საგამოკვლევო დაწესებულებები და საცდელი სადგურები გამოფენაზე უნდა წარსდგნენ მათ მიერ ათვისებული ახალი კულტურებით.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელონ გამოფენასთან დაკავშირებულ მზადებას. დაეხმარონ საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებსა და მტს-ებს, რომ გამოფენაზე ისინი წარსდგნენ ახალი მიღწევებით. მთელი მზადება მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ სტახანოვური წლის უხვი მოსავლის ვადაზე და უდანაკარგოდ აღებას, ნათესების წესიერად დამუშავებას, პირუტყვის მოვლის გაუმჯობესებას, შრომის სტახანოვურად მოწყობას და ყველა სახის სახელმწიფო დავალების წარმატებით შესრულებას.

ტ. აცანელი.

ქალების დიდი თაოსნობა

ი. რუდოვსკი

წარმოებაში ინჟინერ-ტექნიკოსთა ცოლების მოძრაობამ საქართველოს მთელ რიგ საწარმოებში ჰპოვა გამოხმაურება. ქალთა მუშაობამ ზოგიერთ საწარმოში უკვე დაგვანახა, თუ რა დიდი შესაძლებლობანია ჩამარხული ამ მოძრაობაში და რა სერიოზული მიღწევების მოპოვება შეიძლება, თუ მათი აქტივობა საზოგადოებრივი საქმეების გადაჭრისაკენ იქნება მიმართული.

მაგალითისთვის ავიღოთ ბათომის ნავთისგადამამუშავებელი და ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხნები. ამ საწარმოთა ხელმძღვანელებმა ინჟინერ-ტექნიკოსთა და სტახანოველთა ცოლებს თავიდანვე შეუქმნეს ფართო ინიციატივის და თვითმოქმედების გაშლის ყველა პირობა.

მუშაობის დასაწყისში უპირველეს ყოვლისა წამოიჭრა ახალი აქტივის აღზრდის საკითხი. თვით ქალების მოთხოვნით ჩამოყალიბდა პოლიტწრეები. საწარმოს პარტიულმა კომიტეტმა ამ წრეებისათვის გამოჰყო პროპაგანდისტები, რომელთაც დახმარებას უწევენ პარტიული კაბინეტები. ბათომის ნავთისგადამამუშავებელ ქარხნებში ქალთა შორის უკვე ჩატარდა ორი საუბარი 1905 წლის რევოლუციის შესახებ. საუბარი დაკავშირებულ იქნა პარტიის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მუშაობასთან ქალაქ ბათომში. ქალებმა გამოსთქვეს სურვილი დაათვალიერონ ის ადგილები, სადაც ამხანაგ სტალინს უხდებოდა მუშაობა.

უპირველეს ყოვლისა ქალების ყურადღება მიიპყრო მუშათა ცოლებსა და წარმოებაში ჩაბმულ მუშა-ქალებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციამ. ოპერატორი მუშის ცოლი თოდრია (მასწავლებელია) და ინჟინრის ცოლი ცელინსკაია საზოგადოებრივი დატვირთვის სახით ჩაებნენ ამ მუშაობაში და აწარმოებენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. ამას გარდა ამ წარმოებაში ტექნიკურ მუშაკთა ცოლები ემაგრებიან ქარხნის ზოგიერთ მუშა-ქალებს, რომელნიც საჭიროებენ დახმარებას კულტურული დონის ამაღლების მხრივ.

ბათომის სასფალტო კომბინატის მუშა-ქალი გლადიშევა თუმცა კარგა ხანს მუშაობდა წარმოებაში, მაგრამ უცოდინარობის გამო ვერ გადავიდა მუშაობის სტახანოვურ მეთოდზე. ცოლთა საბჭომ მას მიამაგრა ინჟინრის ცოლი გორინშტეინი, რომელმაც გლადიშევას შეასწავლა არითმეტიკა და წერა-კითხვა. ახლა ამხ. გლადიშევა უკვე ხმამაღლა კითხვას ატარებს კომბინატის ჩამომსხმელ საამქროში. ახლა იგი არის სტახანოველი და ნორმას ასრულებს 130—150 პროცენტით. მისი ხელფასი 90 მანეთიდან 300—350 მანეთამდე ავიდა.

ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკლუბო მუშაობაში. ჯუღელში ფერო-წარმოების მეთაურთა და სტახანოველთა ცოლების მოთხოვნით კლუბის საზაფხულო მუშაობაში მთელი რიგი ცვლილებანი იქნა შეტანილი. მაგ., კლუბში გაიხსნა დედათა და ბავშვთა ოთახი, მოეწყო ცეკვის ოთახი, ახლო ხანში გაიხსნება პრაქტიკის შემსწავლელი წრე, ბავშვებისათვის კინო-დარბაზში ცალკე მოეწყობა სეანსები. კლუბთან მოეწყო საბავშვო საბალეტო წრე, სადაც მიღებულია 20 ბავშვი. საბავშვო საამქროს უფროსის ამხ. ვ. ჩიტაძის ცოლი ასწავლის ქარხნის მუშებისაგან შემდგარ ჯგუფს როიალზე დაკვრას.

ასეთივე გამოცოცხლება დაეტყო საკლუბო მუშაობას ბათომის ნავთის დამმუშავებელ ქარხნებში. ამ რამდენიმე ხნის წინათ გაიხსნა კინო-პავილიონი, რომელიც არსებითად კლუბს წარმოადგენს. ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშების ცოლებმა იკისრეს პავილიონის მომსახურება. დიდი ყურადღება მიექცა საბიბლიოთეკო საქმეს. ქალთა აქტივი იზიდავს ახალ მკითხველებს, აწყობს კონსულტაციებს და მხატვრული ლიტერატურის ხმამაღლა კითხვას. ქალების ინიციატივით ბიბლიოთეკასთან მოეწყო საბავშვო ლიტერატურის განყოფილება.

ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშა-სტახანოველთა ცოლების მიერ ბევრი რამ არის გაკეთებული აგრეთვე საერთო საცხოვრებლების და მუშათა უბნების კეთილმოწყობის დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფეროს მუშათა საცხოვრებლის ეზოების კეთილმოწყობა, რომლებიც მოფენილია პალმებით, ყვავილებით, ეწყობა სასპორტო მოედნები და საზაფხულო პავილიონი. აქ ქალები უშუალოდ მონაწილეობდნენ ხეებისა და ყვავილების დარგვაში.

ბათომის ნავთისგადამამუშავებელ ქარხნებში გაიშალა შეჯიბრება ბინების კულტურულად შენახვაზე, ოჯახში საუკეთესო საბავშვო კუთხის მოწყობაზე. ამ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა აჭარელმა ქალმა მარო სხალაძემ, რომელიც შემდეგ მონაწილეობდა ინჟინერ-ტექნიკოსთა ცოლების სრულიად საკავშირო თათბირზე.

აქ ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საქარხნო კედლის გაზეთის გამოშვებაში. ამას გარდა, დიდია ქალების მონაწილეობა საზოგადოებრივი კვების მოგვარების საქმეში. კვების საქმე ამჟამად თითქმის სავსებით გადასულია ცოლთა საბჭოს ხელში. კვების საამქროს უფროსად წამოყენებულ იქნა ქარხნის ეკონომისტის ცოლი ნევინსკაია (ცოლთა საბჭოს თავმჯდომარე), ხოლო ახალი სასადილოს გამგედ დანიშნულია მთავარი ინჟინრის ცოლი ზახარენკო. ახალ სასადილოში თვით ქალები დგებიან ხოლმე წინსაფრებით სამზარეულოში და მაგალითით უჩვენებენ სხვებს, თუ როგორ უნდა კეთდებოდეს გემრიელი საჭმელები. ცოლების მოთხოვნით გადახალისდა ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა და სტახანოველთა სასადილოც. ახლა იგი სისუფთავის, წესრიგის და საჭმლის ხარისხის მხრივ მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამ სასადილოსთან მოწყობილია დასასვენებელი ოთახი რბილი ავეჯით, სხვადასხვა სათამაშოებით, აქვეა სამკითხველო და ტექნიკური ბიბლიოთეკა, რომელსაც 750 მკითხველი ჰყავს. ქალები დიდად ზრუნავენ ბავშვებზე. წინათ უპატრონო ბავშვები უყურადღებოდ იყვნენ. ქალების მოთხოვნით ეს ბავშვები კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამოცდილ მუშებს მიამაგრეს. მოწაფეებს ეძლევათ სადილი დაკლებულ ფასებში და სხვ. ფეროს მეთაურთა ცოლები დიდ ინტერესს იჩენენ თვით წარმოების გაცნობისადმი. მათ უმრავლესობას მანამდე წარმოდგენაც არა ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა პირობებში უხდებოდათ მუშაობა მათ ქმრებს. ბათომის ქარხნებში რამდენჯერმე მოეწყო ცოლთა ექსკურსიები, და ახლა ქალები მეტი პატივით ეპყრობიან თავიანთი ქმრების მუშაობას. ფერომარგანეცის ქარხნებში კი ქალებისათვის ჩამოყალიბებულია ორი წრე მეტალურგიის საქმის შესასწავლად.

ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა და სტახანოველთა ცოლების ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში უაღრესად დადებითი მოვლენაა. გუშინდელი პასიური დიასახლისები დღეს სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილენი არიან. ამ ორი საწარმოს მაგალითიდან ვხედავთ, რომ მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ.

ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ მოძრაობას. ყველამ ხელი უნდა შეუწყოს და დაეხმაროს ამ საქმეს. ცნობილია, რომ წარმოების მეთაურთა ცოლების მოძრაობა აგებულია ნებაყოფლობაზე. ეს ვერ შეიგნო ქუთაისის საკონსერვო ქარხნის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა. ქალთა ერთ-ერთ კრებაზე ინჟინრების ცოლებმა შეიტანეს წინადადება, რათა აერჩიათ ცოლების საბჭო, რომელიც უხელმძღვანელებდა ამ მოძრაობას, მაგრამ ქარხნის პარტკომის მდივანს ამხ. გასეევს ეს როდი ესიამოვნა. ცოლების საბჭო იქ არ აურჩევიათ და ამით უნდა აიხსნას რომ ქარხანაში ამ მოძრაობას ფართო გასაქანი არა აქვს.

მოწინავე საწარმოთა გამოცდილების საფუძველზე ყველა ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები მეტი ყურადღებით, მეტი ზრუნვით გააფართოვებენ ინჟინერ-ტექნიკოს მუშათა ცოლების მიზიდვას აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უფრო მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწევენ.

ჩაის ფოთლის მიმღები პუნქტის გამგე ამხ. სტამბულიშვილი იბარებს ჩაის ნედლ ფოთოლს [illegible] ჯიმალ. [illegible]შვილისაგან (ამხ. ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა, ქობულეთის რაიონი).

ნ. გეგეშიძე

შემნახველ სალაროების კონსულტანტი

წინათ გამოშვებული სესხების გადაცვლა

საბჭოთა მთავრობის მიერ გამოშვებული სახელმწიფო სესხები დიდი პოპულარობით სარგებლობენ მშრომელმოსახლეობაში.

ჩვენი ქვეყნის თვითეულმა მშრომელმა იცის, თუ რა დიდ ფინანსიურ დახმარებას უწევს იგი გაშლილ სოციალისტურ მშენებლობას, როდესაც საბჭოთა სახელმწიფოს სესხის ობლიგაციას იძენს.

საბჭოთა კავშირის მშრომელთ 1936 წლის 1 იანვრისათვის ჰქონდათ მასობრივი სესხების ობლიგაციები დაახლოვებით 14.700 მილიონი მანეთისა.

დღიდან პირველი კონვერსიისა, რომელიც 1930 წელს მოხდა და შეეხო ინდუსტრიალიზაციის პირველსა და მეორეს, აგრეთვე საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხებს, მიმდინარე წლამდე გამოშვებული იყო შვიდი სხვადასხვა სახის და ვადის მასობრივი სესხი.

საბჭოთა კავშირში 50 მილიონამდე მშრომელია სესხების ობლიგაციების მქონე. მათ ხელში აქვთ სხვადასხვა სესხების 860 მილიონი ცალი ობლიგაცია. 1936 წელს სახელმწიფოს უნდა გაეცა 40 მილიონამდე მოგება, დაეფარა ძირითადი თანხა 30 მილიონი ობლიგაციებით და გაენაღდებინა 117 მილიონ მანეთის კუპონები პროცენტიანი ობლიგაციებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ სესხზე გათვალისწინებული იყო მოგებათა ტირაჟის ყოველთვიურად ჩატარება, ზოგზე კი კვარტალში ერთხელ. საშუალოდ თვეში მოგებათა, ან დაფარვის 2-3 ტირაჟი მოდიოდა.

ამას უნდა დაემატოს მოგებათა დიდი ცხრილები, რომლებიც ქვეყნდებოდა ამა თუ იმ სესხის მოგებათა ტირაჟზე, და მივიღებთ იმ დიდ სიძნელეთა ნათელ სურათს, რომლებიც ელობებოდა სესხმქონეთ ობლიგაციების წესიერად შენახვისა და კუთვნილი შემოსავლის (მოგებათა და სარგებლის სახით) მიღებაში.

ჩვენი სესხების სიმრავლე და მრავალფეროვნება დიდ ტვირთად აწვებოდა სახელმწიფო აპარატს, რომელიც მოწოდებულია მომსახურება გაუწიოს ობლიგაციის მქონეთ, იწვევდა აგრეთვე ზედნადებ ხარჯებს, რითაც თანდათანობით აძვირდებოდა კრედიტის ფასი.

წინათ გამოშვებულ ყველა მასობრივ სესხზე (გარდა მეორე ხუთწლედის მესამე წლის გამოშვების სესხისა), სახელმწიფო აძლევდა სესხმქონეთ შემოსავალს წლიურად 10 პროც. რაოდენობით, მეორე ხუთწლედის მესამე გამოშვების სესხით კი წლიურად 8 პროცენტს.

ასეთი დიდპროცენტიანი კრედიტი დღევანდელ პირობებში ხელსაყრელი არ არის სახელმწიფოსათვის და თვით მშრომელთათვისაც.

კრედიტების პროცენტის შემცირება სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ვალუტის განმტკიცებისა და თვითღირებულების შემცირების საშუალებაა.

საკავშირო სახკომსაბჭოს 1936 წ. 14 ივნისის დადგენილებით შემცირდა პროცენტები სახელმწიფო ბანკის კრედიტებზე, გრძელვადიან დაბანდებათა ბანკების და შემნახველი სალაროების ანაბრებზე. შემნახველ სალაროებში ანაბრებზე სარგებლის პროცენტი წლიურად 8 პროცენტიდან 3-მდე შემცირდა. სახელმწიფო ბანკის მიერ სახალხო მეურნეობისათვის გაცემულ სესხებზე, რომელთა რაოდენობა 28 მილიარდ მანეთს უდრის, პროცენტის შემცირებით სახალხო მეურნეობამ 235 მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია მიიღო.

ყველასთვის ცხადია, რომ საბჭოთა მანეთის კურსი შესამჩნევად განმტკიცდა. თუ წინა წლებში ჩვენი მანეთით პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის მცირე რაოდენობის ყიდვა შეიძლებოდა, ახლა, როდესაც მანეთის კურსი განმტკიცებულია, იმავე მანეთით შეიძლება სამჯერ და ოთხჯერ მეტი საქონელი შეიძინო. ამასთანავე აღსანიშნავია საქონელბრუნვის შესამჩნევი ზრდა. საქონელზე მშრომელთა მზარდი მოთხოვნილება უკანასკნელ ხანებში გაცილებით უკეთესად კმაყოფილდება.

სესხზე სარგებლის სახით მიღებული 4 პროცენტი დღეს გაცილებით უფრო მეტი რეალური ღირებულებისაა, ვიდრე წინანდელი 8 და 10 პროცენტი.

მასობრივი სესხები გამოშვებული იყო 10 წლის ვადით. ასეთი ვადით სესხების გამოშვება რეალურად ვერ აკმაყოფილებდა სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებებს. კაპიტალურ მშენებლობაში დაბანდებული საგრძნობი თანხები სათანადო ნაყოფს ვერ იძლეოდა შედარებით მოკლე ვადაში.

სესხების მაღალი პროცენტი და შედარებით მოკლე ვადა — 10 წელი რომ უცვლელად დარჩენილიყო, მაშინ სახელმწიფო იძულებული გახდებოდა სესხმქონეთათვის 1937 წელს მიეცა 2 მილიარდი მანეთი, 1938 წელს — 2,3 მილიარდი, 1939 წ. — 2,7 მილიარდი, ხოლო 1942 წელს — 6,8 მილიარდი მანეთი.

სახელმწიფოს მიერ ასეთი საგრძნობი თანხების ასე მოკლე ვადაში გაცემა გამოიწვევდა მოსახლეობაში ფულის ზედმეტი ნიშნების დაგროვებას, რაც აშკარაა, ხელს შეუშლიდა ჩვენი მანეთის კურსის განმტკიცებას და საქონლის ფასის შემდგომ შემცირებას.

ყოველივე ამის მიხედვით თვით სესხმქონეთა ინტერესები მოითხოვდა წინათ გამოშვებულ სესხთა ახალ, შედარებით დაბალპროცენტიან და უფრო გრძელვადიან სესხზე გადაცვლას.

წინათ გამოშვებულ სესხთა კონვერსიით სესხმქონეთა ინტერესები არათუ არ შეილახება, არამედ პირიქით, სესხმქონენი სარგებლობასაც ნახავენ.

ამიტომ თვითეული მშრომელი დაინტერესებული უნდა იყოს დროულად გადაცვალოს წინათ გამოშვებული სესხების ობლიგაციები ახალზე, რადგან ახალ სესხზე სარგებლის დარიცხვა ა.-წ. 1-ლი სექტემბრიდან დაიწყება. თვითეულმა სესხმქონემ უნდა დაიხსომოს, რომ ობლიგაციების გადაცვლის უკანასკნელი ვადაა 1937 წლის 1 სექტემბერი. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადაუცვლელი ობლიგაციები გაბათილებული იქნება.

◇

გ. კობანი

ყოველდღიური ბალანსი

დაგვიანებული ასახვა აღრიცხვის მიერ თვიურ ბალანსებში სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა აღრიცხვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლი, რომელიც ამცირებს მის მნიშვნელობას ჩვენს გეგმიან მეურნეობაში.

ჩვენი სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდის პირობებში თვიური ბალანსების მასალები, რომელთაც ამასთანავე საანგარიშო პერიოდის 10-15 დღის შემდეგ ვღებულობთ, აძნელებს მათს ოპერატიულად გამოყენებას. საწარმოებში არსებული ოპერატიული და სტატისტიკური აღრიცხვები ვერ ავსებენ ამ ხარვეზს. მათ მრავლად მოეპოვებათ უსწორობა, ისინი ჰქმნიან პარალელიზმს მუშაობაში და ეს აღრიცხვა ძვირად უჯდება სახელმწიფოს. იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც შეუმოწმებელ ოპერატიულ მასალათა საფუძველზე, რომელიც შემდეგ სადაო ხდება ბუხჰალტერიული აღრიცხვის მასალების მიხედვით, მეურნეობას გამოჰყავს სრულიად არასწორი დასკვნები. აი რატომ მიიღო ყოველდღიური ბალანსისათვის ბრძოლის ფორმა აღრიცხვის სრული ოპერატიულობისათვის ბრძოლამ.

გადავიყვანოთ აღრიცხვა ყოველდღიურ ბალანსზე, — ეს ნიშნავს დღესვე აღვასახოთ აღრიცხვაში დღევანდელი ოპერაციები, — ეს ნიშნავს სამეურნეო მუშაკს და ბანკს მივცეთ ხელში ნამდვილი იარაღი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, მივცეთ მათ საშუალება დაინახონ საწარმოს მდგომარეობა, საშუალებათა მიმოქცევა, დაგროვებათა და დანაკარგთა ოდენობა. აწარმოონ სისტემატური კონტროლი გეგმის შესრულებისა სამეურნეო საქმიანობის პროცესში. ყოველდღიური ბალანსი ხელს უწყობს ძვირადღირებული ოპერატიული აღრიცხვის შეცვლას, ხოლო ხშირად სავსებით აძევებს მას.

ყოველდღიურ ბალანსზე ჯერჯერობით ძირითადად მხოლოდ სავაჭრო-გამსაღებელ ორგანიზაციებში გადავიდნენ. იგი თანდათანობით ტარდება სამრეწველო საწარმოებშიც. ყოველდღიური ბალანსისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ამიერ-კავკასიის საწარმოებიც. საქართველოში ა.-წ. 11 მაისიდან რესპუბლიკაში და სატყეო სახ. კომისარიატის სისტემაში ყოველდღიურ ბალანსზე პირველი გადავიდა ამიერ-კავკასიის ხე-ტყის პროდუქციის სარეალიზაციო კანტორა (ამიერ-კავკასიის ხე-ტყის ტრესტის გასაღების განყოფილება). არის ცნობები, რომ ყოველდღიურ ბალანსზე გადავიდნენ სხვა გამსაღებელი საწარმოებიც. მუშაობის პირველმა შედეგებმა დაგვანახვა, რომ ეს გადასვლა მოხდა შტატების გაუდიდებლად, მხოლოდ და მხოლოდ სამუშაო დროის შემჭიდროვების ანგარიშზე. მუშაობის მეთოდის შეცვლის პარალელურ ოპერატიულ აღრიცხვაზე ხელის აღების ანგარიშზე ყოველდღიურ ბალანსზე გადასვლამ სავსებით უზრუნველჰყო თვიური ბალანსის წარდგენა საანგარიშო თვის მომდევნო თვის პირველ რიცხვს.

თითქოს ყოველ სამეურნეო მუშაკს, ანგარიშის დარგის ყოველ კულტურულ მუშაკს ნათლად უნდა ესმოდეს ყოველდღიური ბალანსის უპირატესობანი, ის უდიდესი ძვრები, რომლებსაც ახდენს ეს ბალანსი საწარმოს ხელმძღვანელობის მეთოდებში, ბოლოს თვით აღრიცხვის ტექნიკაში.

ყოველდღიური ბალანსი — ეს არის ბუხჰალტერიაში ჩამორჩენილობისა და საანგარიშო მუშაობის ორგანიზაციაში დამყარებული ჩვევების პირდაპირი დაძლევა.

ყოველდღიურ ბალანსზე გადასვლა ერთგვარ სიძნელეებს იწვევს სამრეწველო და საამშენებლო დაწესებულებებში, სადაც გართულებულია ტექნიკა თვითღირებულების ყოველდღიური გამოვლინებისა წარმოების ფაზების მიხედვით, შრომის ხელფასის და საამქროს ხარჯების გამონაწილებისა და გაზომვის მოხდენისა. სამწუხაროდ, ეს სიძნელეები ზოგიერთ საანგარიშო დარგის მუშაკს მიაჩნია ყოველდღიურ ბალანსზე გადასვლის დამაბრკოლებლად სამრეწველო და საამშენებლო საწარმოებში. მაგრამ ასე კია? ყოველდღიური კალკულაცია ცალკეულ სამრეწველო საწარმოებში უკვე დღევანდელი დღის ფაქტს წარმოადგენს, ეს კი მრეწველობაში ყოველდღიურ ბალანსზე გადასვლის ძირითადი საკითხია.

ჩვენ ვიცით, რომ ბეწვეულის დიდი ფაბრიკა თათართა რესპუბლიკაში გადავიდა ყოველდღიურ ბალანსზე, მაშასადამე გადასჭრა ის საკვანძო საკითხები, რომლებიც ახასიათებს სამრეწველო საწარმოებს. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ უდიდესი სამრეწველო საწარმო ქარხანა „კრასნი ტრეუგოლნიკი" ლენინგრადში ამუშავებს ყოველდღიურ ბალანსზე გადასვლის ფორმებს.

მაშ რატომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ეს გადასვლა, ვთქვათ, საამშენებლო მრეწველობაში? განა შეუძლებელია შემოვიღოთ ისეთი წესი, რომ საშუალება გვქონდეს ყოველდღიურად მოვახდინოთ ხოლმე საამშენებლო სამუშაოთა გაზომვა და ამით გადავწყვიტოთ მრეწველობის ამ დარგის ყოველდღიურ ბალანსზე გადაყვანის ძირითადი ამოცანა? მთელი კითხვა ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ გადასინჯულ იქნას ოპერატიულ და ტექნიკურ პერსონალთან ერთად შესრულებულ სამუშაოთა გაზომვის მოხდენის წესი. პრაქტიკა გვასწავლის, რომ სამუშაოთა გაზომვის მოხდენის არსებული მეთოდი თვის ბოლოს ბევრ დროს გვართმევს, ეს გაზომვა ხშირად თვალისგადავლებით, ზერელედ ხდება, წარმოებულ სამუშაოთა მთელი მასის ზუსტად აღურიცხავად. ყოველდღიური გაზომვა სავსებით შესაძლებელია, არ გვართმევს დიდ დროს, უფრო ზუსტი იქნება, მუშას მისცემს თავის სრულ ხელფასს, ხოლო საწარმოს მისცემს შესაძლებლობას გაწონასწოროს დღიური მუშაობის შედეგი.

ზოგ მუშაკს ჰგონია: ბალანსების ყოველდღიური შედგენა ყველა დანართითურთ ტექნიკურად წარმოუდგენელია, იგი გამოიწვევს მნიშვნელოვან ხარჯებს დამატებითი საანგარიშო აპარატის შესანახად; უდანართებო ბალანსი ნაკლებად მაჩვენებელია და ამიტომ მიზანშეუწონელია მისი შედგენაო.

ჩვენც ვფიქრობთ, რომ ყოველდღიურ დანართთა შედგენა ტექნიკურად ძნელია, მოითხოვს მნიშვნელოვან ხარჯებს და მეურნეობრივად არ არის ხელსაყრელი; მაგრამ სრულიად არ მიგვაჩნია აუცილებლად, რომ ყოველდღიურ ბალანსს ახლდეს ყველა დანართი. სამეურნეო მუშაკმა, აგრეთვე დარგის მუშაკმაც უკვე ისწავლეს სამეურნეო საქმიანობის ძირითად მაჩვენებელთა — გეგმა საბალანსო მასალის მიხედვით და უდანართებოდ. ყოველდღიური ბალანსების პრაქტიკამ სავაჭრო საწარმოებში გამოაშკარავა, რომ დანართის შედგენა საანგარიშსწორებო ანგარიშებისათვის სრულებით არ არის ძნელი; საფაბრიკო-საქარხნო საწარმოებში სავსებით შესაძლებელია და განსაკუთრებულ სიძნელეებს არ გამოიწვევს ისეთ დანართთა შედგენა, როგორიც არის წარმოების თვითღირებულების შეცვლის ტაბულა, შრომის ნაყოფიერების ტაბულა და სხვ.

დანართების შედგენა, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს ბალანსისათვის ყოველი თვის პირველ რიცხვს.

ყოველდღიური ბალანსი, რომელსაც მივყევართ თავისი შედგენის ტექნიკით ჩანაწერთა ყოველდღიურ შეჯერებასთან, მნიშვნელოვნად ადვილებს დანართების ყოველთვიურ შედგენას, თვიური ბრუნვები ირკვევა ყოველდღიური ჩანაწერთა მარტივი მექანიკური შეჯამებით; ვღებულობთ დროის ეკონომიას, რომელსაც ჩვეულებრივ საანგარიშო მუშაკები ხარჯავენ ჩანაწერთა შეჯერებაზე ყოველთვიური ბალანსის შედგენის დროს.

ჩვენ იმასაც ვფიქრობთ, რომ დაწესებულების სპეციფიკის მიხედვით დასაშვებია გამონაკლისებიც, როგორც მაგალითად: არ არის სავალდებულო ყოველდღე ჩაეწეროთ დავთრებში ხელფასი სავაჭრო-გამსაღებელ საწარმოებში, თუ ხელფასი დროითია და მისი ხვედრითი წონა საერთო ბრუნვაში უმნიშვნელოა, არ არის აუცილებელი აგრეთვე აღინიშნოს ყოველდღიურად ისეთი ხარჯები, როგორიც პროცენტები სესხისათვის. საქმიანობის შედეგთა ანალიზის დროს მსგავსი პირდაპირი ხარჯები ყოველთვის შეიძლება მიღებულ იქნას მხედველობაში, ხოლო მათი აღნიშვნა შეიძლება მოხდეს გაბნეულ პერიოდებში, ან დარიცხვის მოხდენისას. რა თქმა უნდა, ესევე ხარჯები აუცილებლად აღნიშნულ უნდა იქნას მხოლოდ სავაჭრო-გამსაღებელ კანტორებში, სადაც ხელფასი, იჯარა და სხვ. მნიშვნელოვან ხვედრითი წონით აწვება ზედნადებ ხარჯების საერთო ჯამს, ან წარმოებაში, სადაც ხელფასი თვითღირებულების ძირითად ელემენტს წარმოადგენს.

ყოველდღიური ბალანსი ჩვენი ქვეყნის უდიდესი აღმავლობის დონეზე აყენებს აღრიცხვას, აღმავლობისა, რომელიც გამოწვეულია სტახანოვური მოძრაობით. იგი ხდება ყველაზე უფრო ბასრი იარაღი, რათა აღრიცხვა გახდეს ჩვენი სახალხო მეურნეობის ნამდვილად მნიშვნელოვანი უბანი.

დეე ყოველდღიური ბალანსი ჯერჯერობით შემოღებული იყოს ცალკეულ საწარმოებში. დეე მისი გატარებისას ჯერ კიდევ მრავალი საკითხი შეუსწავლელი რჩებოდეს; სოციალისტური აღრიცხვის მოწინავეთა აქტიური, ინიციატივიანი მუშაობა გადალახავს ყველა სიძნელეს, არღვევს აღრიცხვის მეთოდებში დადგენილ ტრადიციებს და ანგარიშების შედგენის ვადების „ზღვარულ ნორმებს". ჩვენი სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ყოველდღიურ ბალანსზე გადაყვანა სადღეისო საბრძოლო ამოცანა არის, ის არის ლენინის ლოზუნგის — „სოციალიზმი ეს აღრიცხვაა"! — კონკრეტული განხორციელება.

◆

აგიტატორთა თათბირი ლაგოდეხში

სანამ ლაგოდეხის რაიონის აგიტატორთა და პარტორგანიზატორთა თათბირი დაიწყებოდა, რაიკომის მდივნის დავალებით ინსტრუქტორებმა თავიანთ ზონაში ფართოდ გაშალეს მუშაობა. რაიონული თათბირისათვის მზადება ხუთი დღით ადრე დაიწყო. აგიტატორები თავიანთი დღიურებითა და საჭირო მასალებით გამოცხადდნენ თათბირზე. ახლა რაიონში გაცხოველებული მუშაობაა. დაიწყო პურის აღება და თამბაქოს შეტეხა, კოლმეურნეებს მოცლა არა აქვთ. ამიტომ რაიკომმა თათბირისათვის კარგი დრო შეარჩია — აგიტატორთა და პარტორგანიზატორთა შეკრება 28 ივნისს, კვირას მოიწვია.

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. იმედაძემ თავის შესავალ სიტყვაში ფართოდ გააშუქა აგიტატორთა მოვალეობანი და ამოცანები. ამხ. იმედაძის სიტყვის შემდეგ თავიანთ მუშაობასა და გამოცდილებაზე ილაპარაკეს აგიტატორებმა.

კოლმეურნეობა „შრომის" № 1 ბრიგადის აგიტატორმა და საბრიგადო გაზეთის რედაქტორმა ამხ. ილო ნატროშვილმა განაცხადა:

— ჯგუფში ისე არ დავამუშავებ საკითხს, თუ ღრმად არა მაქვს შესწავლილი. მაგალითად, ახალი კონსტიტუცია ორჯერ წავიკითხე, შემდეგ რუკაზედაც გავეცანი მოკავშირე რესპუბლიკათა საზღვრებს, ბეჯითად გავარჩიე თვითეული მუხლი. ჩვენს ბრიგადაში გვყავს გაზეთის ხმამაღლა წამკითხველი, რომელიც ყოველდღიურად უკითხავს კოლმეურნეთ საინტერესო წერილებსა და დადგენილებებს, რის შემდეგ მე ვმართავ მათთან საუბარს. როცა ბრიგადაში კონსტიტუციის ვიხილავდით, ჩემს მსმენელებს მოვუყვანე მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან, რამაც ყველა ძლიერ დააინტერესა. ასე მაგალითად, როდესაც წავიკითხეთ კონსტიტუციის მე-122 მუხლი, რომელშიაც ქალთა უფლებებზეა ლაპარაკი, საბჭოთა ქალის მდგომარეობა და უფლებები შევადარე ეგ. ნინოშვილის მოთხრობის გმირის ქრისტინეს ბედს.

კონსტიტუცია თვითეულ მშრომელს გავაცანი. ჩემს ბრიგადაში 4 დღეს გასტანა მისმა განხილვამ. მისი საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ კოლმეურნეებმა მრავალი საქმიანი და საინტერესო წინადადება შემოიტანეს.

— დღეში 2-3 საათს ვანდომებ საკუთარ თავზე მუშაობას. საკითხების გარკვევა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა არ მიძნელდება. ჩემი ბრიგადის გაზეთსაც მე ვხელმძღვანელობ, ის რეგულარულად გამოდის. დღემდე 21 ნომერი გამოვუშვით.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა სოფელ თელის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორ-რედაქტორი ამხ. აკაკი ლაცაბიძე, რომლის მუშაობას საგრძნობი ნაკლი ახასიათებს. სოფელ ანანაურის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის აგიტატორი ამხ. კ. აბრამიშვილი დაინტერესებულია თავისი მუშაობით. როცა იგი თავისი წევრებით ტყეში გაგზავნეს თამბაქოს ბიჯგების მოსაჭრელად, მან თან წაიღო წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც იქ ტყეში — შესვენების დროს წაუკითხა კოლმეურნეთ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე აგიტატორები ალ. გელაშვილი, შ. იობაშვილი, კ. დონაძე, ა. თაბუკაშვილი და სხვ.

თათბირზე გამომჟღავნდა საგრძნობი ნაკლიც. ზოგიერთ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციას არა ჰყავს აგიტატორთა კადრები, რის გამო აგიტატორობა, საბრიგადო გაზეთის რედაქტორობა და გაზეთის წაკითხვა დავალებული აქვს პარტორგანიზატორს.

აგიტატორთა პირველმა სარაიონო თათბირმა დიდი ინტერესით ჩაიარა.

○ ◇ ○

გამარჯვებული რაიონი

(ჯუღელი, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან).

ჯუღელის რაიონს გეგმით უნდა დაემზადებინა 64 ათასი კილოგრამი აბრეშუმის პარკი. ფაქტიურად პირველი ივლისისათვის რაიონში დამზადებულია 72.266 კილოგრამი, გეგმა შესრულებულია 113 პროცენტით. საშუალო გამოსავლიანობამ ერთ კოლოფზე გეგმით გათვალისწინებულ 40 კილოგრამის ნაცვლად მიაღწია 49,9 კილოგრამს. ყველაზე წინ მიდის ჯუღელის ქალაქის საბჭო, რომელმაც პარკის დამზადების გეგმა შეასრულა 167 პროცენტით, ზედა საქარა — 128-ით, ცხრაწყარო — 132-ით, პირველი სვირი — 122-ით, კვალითი — 124-ით და სხვ.

პარკის დამზადება გრძელდება.

ავტო-ხულიგნებო, მოშორდით საჭეს!

საუბარი იუსტიციის სახალხო კომისარ და რესპუბლიკის პროკურორ ამხ. ა. რამიშვილთან

— მოქალაქეს უხდება,—სთქვა ამხ. ა. რამიშვილმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, — ყოველდღე ხედავდეს ასეთ სურათს: მიჰქრის ავტომობილი თავზეხელაღებული სისწრაფით, ანგარიშს არ უწევს არც მოძრაობის მომწესრიგებელ მილიციელებს, არც ტრანსპორტის მოძრაობის წესებს, არც ქუჩაში უწყვეტ ნაკადად მიმავალი მანქანების, ავტობუსების და სხვა სახის საქალაქო ტრანსპორტის ქარავანს. ვინ ზის თავაწყვეტით მქროლავ ავტოზე, სად მიისწრაფვის, რა ეჩქარება, ვინ მისდევს, ვის მისდევს? ეგრეთწოდებული „ავტოთავგასულები“ სხედან ამ მანქანებზე. ისინი არიან, რომ არღვევენ მოძრაობის წესრიგს, ხიფათში აგდებენ ქუჩაში მოსიარულეთ, ამსხვრევენ მანქანებს, ანადგურებენ სახალხო დოვლათს.

უკანასკნელ ხანებში „ავტოთავგასულობამ“ ტფილისში ფართო ხასიათი მიიღო. გახშირდა ავტომობილთა ავარიების რიცხვი. მატულობს ამ ავარიების დროს დაღუპულთა რაოდენობაც. აუარებელ ზარალს ნახულობს ამ თავგასულობით სახელმწიფო: ჯერ-ერთი, იმსხვრევა ავტომანქანა, რომელიც საერთო-სახალხო დოვლათს წარმოადგენს, შავდებიან და შრომის უნარს ჰკარგავენ მგზავრები, ირღვევა წესრიგი, ქუჩაში გავლა სახიფათო ხდება და, რაც მთავარია, სახელმწიფოს უხდება აუარებელი თანხის ხარჯვა ავარიების დროს შრომის უნარდაკარგულ მშრომელთა უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, ჩვენში ეს „ავტოთავგასულობა“ სახელს უტეხს ავტომობილიზაციის ლოზუნგს. საამური, ბედნიერი და შეძლებული ცხოვრების მაჩვენებელია ჩვენში მექანიზებული ტრანსპორტის სწრაფი ზრდა, ხოლო ამ ზრდის დისკრედიტაციას ახდენენ მოსახლეობის თვალში ჩვენი თავზეხელაღებული ხულიგნები.

„ავტო-თავგასულობამ“ ტფილისში იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ იგი უკვე ავტო-ხულიგნობად გადაიქცა. დააქროლებენ ეს ხულიგნები ავტომობილებს, სრესენ ხალხს, გარბიან და ცდილობენ თავი დააღწიონ პასუხისმგებლობას. გამოსასვლელ დღეებში და მის წინადღეებში მიდიან ისინი ქალაქგარეთ და სწორედ ამ დროს არის მრავალი უბედური შემთხვევა. მარტო 5 ივლისს, მაგალითად, 11 უბედური შემთხვევა მოხდა ავტო-ხულიგნების მიზეზით. გამოსასვლელ დღეებში ქალაქ გარეთ ბევრი ხალხი მიდის ავტომობილით. ზოგი „მოხალისეობს“, თვითონ ჯდება საჭესთან, შოფერს კი გვერდით ისვამს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

სასამართლოს ორგანოები, პროკურორები და მილიცია დღემდე ავტო-ხულიგნობასთან ბრძოლას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. ჩვენი მოსამართლეები და პროკურორები ძალიან ხშირად ავტოხულიგნებისადმი ერთგვარ ლიბერალობას იჩენდნენ, აჭიანურებდნენ მათი საქმეების გარჩევას, დანაშაულს სათანადო კვალიფიკაციას არ აძლევდნენ. ამ „ლიბერალიზმის“ დამახასიათებელ მაგალითს ქ. ოდილავაძის საქმე წარმოადგენს. „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან ამ საქმის შინაარსი: ოდილავაძემ მილიციელი გაასრისა და ამისათვის მას სასამართლომ მხოლოდ ერთი წლით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა. **პროკურატურამ უკვე გააპროტესტა სასამართლოს ასეთი ლიბერალური განაჩენი და ამ დღეებში ამ საქმეს ხელახლა განიხილავს უზენაესი სასამართლო.**

1935 წლის განმავლობაში მარტო ერთს — ორჯონიკიძის რაისასამართლოში აღძრული იყო ავტო-ხულიგნებზე 18 საქმე. გარდა იმისა, რომ ამ საქმეების განხილვა სასამართლომ გააჭიანურა, არსებითად არც არავინ დაუსჯიათ. პასუხისგებაში მიცემული 18 კაციდან—5 სავსებით გაამართლეს, 5 კაცს მიუსაჯეს იძულებითი მუშაობა, 5-ს პირობითი სასჯელი მისცეს, ერთს სოციალური დაცვის არავითარი ღონისძიება არ შეუფარდეს, ხოლო ორის საქმე დღესაც გაურჩეველია. ესეც სასამართლოების „ლიბერალიზმის“ დამახასიათებელი ფაქტებია.

დაე იცოდეს ყველამ, რომ ამიერიდან არავის ვაპატიებთ ავტოხულიგნობას, მიუხედავად თანამდებობისა და მდგომარეობისა. სასამართლოს და პროკურატურის ორგანოები განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდებიან მათ.

მე უკვე გავეცი განკარგულება, რომ სასამართლოს ორგანოებმა და პროკურორებმა „ავტო-თავგასულობისა“ და ავტოხულიგნობის საქმეები რიგ გარეშე გაარჩიონ და სასტიკი სასჯელი გამოუტანონ მათ.

ავტოხულიგნობასთან ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მილიციის მუშაობას და ამ მუშაობაში პროფესიული ორგანიზაციების, მეტადრე შოფერთა პროფესიული კავშირის მონაწილეობას. დღემდე პროფესიული ორგანიზაციები ამ მხრივ დაუშვებელ გულგრილობას იჩენდნენ. იმასაც კი არ სთვლიდნენ საჭიროდ, რომ დასწრებოდნენ მილიციის მიერ რამდენჯერმე მოწვეულ თათბირს ქუჩაში მოძრაობის წესებისა და ავტო-ხულიგნობასთან ბრძოლის შესახებ. პროფესიულმა ორგანიზაციებმა ამიერიდან მაინც ამ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ: უნდა შექმნან საზოგადოებრივ ინსპექტორთა ინსტიტუტი, გააძლიერონ შოფერთა საამხანაგო სასამართლოების მუშაობა და მოახდინონ მთელი საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაცია ავტოტრანსპორტზე ავარიებთან ბრძოლის [illegible].

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს „ხალტურასთან“ ბრძოლას. უბედური შემთხვევები უფრო ხშირად „ხალტურაზე“ გასულ შოფერებს უხდებათ. მაგრამ „ხალტურასთან“ საბრძოლველად სხვა ღონისძიებათა შორის საჭიროა საგარაჟო მეურნეობის მოწესრიგებაც. ტფილისში საჭიროა გვქონდეს საზოგადოებრივი სარგებლობის რამდენიმე გარაჟი მაინც. მაშინ გაადვილდება ავტომობილების მუშაობის მოწესრიგებაც და კონტროლიც.

ერთი სიტყვით, მიზანი ის კი არაა, რომ მხოლოდ ავტოხულიგნების დასჯით დავკმაყოფილდეთ, მიზანია — ავარიების მოხდენის შესაძლებლობათა თავიდან აცილება. ამ მიზნის მისაღწევად უნდა დაირაზმოს მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, რომლის ლოზუნგიც არის:

— ავტო-ხულიგნებო, მოშორდით ავტომობილის საჭეს!

○ ○ ○

მოვსპოთ ავტო-ბანდიტიზმი

თათბირი იუსტიციის სახ. კომისარიატში

გუშინ, 9 ივლისს, იუსტიციის სახ. კომისრისა და რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ა. რამიშვილის კაბინეტში შესდგა თათბირი ავტოხულიგნობისა, ავტოთავგასულობის, ავტობანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

თათბირს ესწრებოდნენ უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ბოლქვაძე და რესპუბლიკის მილიციის უფროსის მოადგილე ამხ. შ. მელაძე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სახელმწიფო ავტოინსპექციის წარმომადგენელი ამხ. ვოლინსკი, ტფილისის რაისასამართლოთა პასუხისმგებელი მუშაკები, მოსამართლენი, პროკურორები, მილიციის წარმომადგენლები და სხვ.

ავარიების, ავტოხულიგნობისა და მოძრაობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა ამხ ა. რამიშვილი. მან თავის სიტყვაში მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები, თუ რა უპასუხისმგებლოდ, უხეშად არღვევს ზოგიერთი შოფერი ქუჩაში მოძრაობის წესებს. ზოგ შემთხვევაში ამ მხრივ თვით ხელმძღვანელი ამხანაგებიც არიან დამნაშავენი. განაცხადა მან,—რადგან ხელს უწყობენ მოძრაობის წესრიგის დარღვევას. მეტადრე ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან გახშირდა ავტოხულიგნობა. პირველ რიგში ეს უნდა ავხსნათ შოფერთა დაბალი კვალიფიკაციით, დამნაშავეებისადმი მილიციისა და სასამართლოს ორგანოების ლმობიერი მოპყრობით და სხვ. უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად იზრდება ავარიების შემთხვევები, მატულობს ადამიანთა მსხვერპლი, ავტომანქანების დაღუპვა, ხოლო მილიციისა და სასამართლოს ორგანოების მიერ ამ მიმართულებით მიღებული ღონისძიებანი არ კმარა. საჭიროა უფრო მკაცრი, უფრო მკაცრი გადაწყვეტილება იქნას მიღებული ავტოხულიგნობის წინააღმდეგ.

ამხ. რამიშვილის მოხსენების შემდეგ თათბირზე სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის მილიციის უფროსის მოადგილე ამხ. შ. მელაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ავარიების წინააღმდეგ მილიციამ მთელი რიგი ღონისძიებები მიიღო, ავარიების სალიკვიდაციო ერთთვიურიც ჩაატარა, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი. ამხ. მელაძემ განაცხადა, რომ სასამართლოები ზოგჯერ დამნაშავე შოფერთა საქმის გარჩევას 2-3 თვეს აჭიანურებენ და მეტ ნაწილად სრულიად ლმობიერი განაჩენი გამოაქვთ.

ამ საკითხის ირგვლივ თათბირზე აზრი გამოსთქვეს პროკურორებმა, მილიციის პასუხისმგებელმა მუშაკებმა და სხვ.

დასასრულ თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. რამიშვილმა მიუთითა პროკურორებს, მოსამართლეებსა და მილიციის ხელმძღვანელ მუშაკებს, განსაკუთრებით გაშალონ მუშაობა ავარიების, ავტოხულიგნობის წინააღმდეგ. მოსამართლეებმა რიგ გარეშე, სასწრაფოდ უნდა გაარჩიონ ავარიების საქმეები და ყოველგვარი ლმობიერების გარეშე სასტიკად დასაჯონ დამნაშავენი, რათა ეს სასჯელი სამაგალითო იყოს სხვებისთვისაც. საჭიროა ასეთ დამნაშავეთა გასამართლება მოეწყოს საჩვენებელი პროცესით.

შოფერთა შორის უნდა, გაიშალოს მასობრივი აღმზრდელობითი მუშაობა. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფკავშირებმა და პრესამ.

თათბირმა დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი ავარიებისა და ავტოხულიგნობის აღმოფხვრისათვის.

○ ◇ ◇

ჩვენ გვწერენ

ერთად ერთი ბილიკია და ისიც უვარგისი

მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე სარეწკელას კლდეზე გადის ვიწრო ბილიკოვანი გზა, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ცაგერთან აკავშირებს მახლობელ სოფლებს და რაიონებს. ეს გზა გაყვანილია მე-19 საუკუნეში. მას შემდეგ არავის შეუკეთებია, რის გამო კლდეზე ხშირად გადაჩეხილან ადამიანები, და საქონელი.

გზის ამ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია. საჭიროა რაიონის ხელმძღვანელებმა ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს.

ვალ. ჩაკვეტაძე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ფრიადოსნები: ნინო სანოვა, კვესელავა, დ. შამათავა, გრ. აბაშიძე და ნადიმ ნიჟარაძე

ღირსეული კადრები

ტფილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოშვება

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წელს კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება ჰყავს. ჩვენს სახალხო მეურნეობას უნივერსიტეტმა მისცა რამდენიმე ათეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მიმდინარე სასწავლო წლის დასასრულს უნივერსიტეტის სამმა ფაკულტეტმა (გეოგრაფია - გეოლოგიის, ფილოლოგიურმა და ისტორიის ფაკულტეტმა) გამოუშვა კურსდამთავრებული სპეციალისტები. აღნიშნული ფაკულტეტების 129 დიპლომანტმა სტუდენტმა წარმოადგინა და დაიცვა სადიპლომო შრომა, რამაც გამოამჟღავნა კურსდამთავრებულთა დიდი წარმატებანი. წარმოდგენილი შრომების ნახევარზე მეტი დაცულ იქნა ფრიადზე. გეოგრაფ - გეოლოგიურზე — 26 ფრიადოსანია, ისტორიულ ფაკულტეტზე—12. დანარჩენებმა სადიპლომო თემები დასწერეს და დაიცვეს კარგზე. შედარებით მცირე ნაწილმა სადიპლომო შრომა დამაკმაყოფილებლად დაიცვა.

ეს იმას მოწმობს, რომ უნივერსიტეტის მიმდინარე წლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ღირსეულად დაეუფლა თავის სპეციალობას. სადიპლომო თემები ატარებდნენ სერიოზულ ხასიათს და მოითხოვდნენ დიდ მუშაობას როგორც დიპლომანტისა, ისე მისი ხელმძღვანელისაგან. გეოლოგთა სადიპლომო შრომებიდან 8 შრომა მიჩნეულ იქნა დაბეჭდვის ღირსად (ნეფეზნიძის ცაგარელის, ლომთათიძის, ერისთავის, დვალის, ფოფხაძის, ჩაკოძის, ჯავრიშვილის). მრავალი თემა წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა კუთხის დამოუკიდებელ გამოკვლევას, პირად დაკვირვებასა და პირადად შეგროვილ და დამუშავებულ მასალაზე დაფუძნებულს. დიპლომანტ გეოგრაფებიდან 5 კაცმა ჩააბარა შრომა ფრიადზე. მათ შორის არიან: ვლად. კაკაბაძე, ნადიმ ნიჟარაძე, ნინო მათურელი და სხვ.

მიმდინარე წლის კურსდამთავრებულნი ახალგაზრდა გეოლოგ - გეოგრაფები ებმებიან სოციალისტურ მშენებლობაში დამოუკიდებელი საკვლევაძიებო ჩვევებით შეიარაღებულნი. კურსდამთავრებულ ლიტერატორთა (ფილოლოგიური ფაკულტეტი) ჯგუფი მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. მათი სადიპლომო შრომების მეცნიერული დონის შემოწმებამ გამოამჟღავნა, რომ ახალგაზრდა ლიტერატორები შეიარაღებული არიან ქართული ლიტერატურის, ისტორიის, ქართული ენის, დასავლეთ ევროპის ერთი ლიტერატურისა და ენის, რუსული ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნით. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან და თანამედროვე მწერლობის პრობლემებიდან დამუშავებული თემები მოწმობენ მათი ავტორების დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის უნარს, გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვეს და საერთო მაღალ კულტურულ დონეს. მრავალი დიპლომანტის (გრ. აბაშიძე, ს. ქილაძე, ნ. ტატიშვილი, დ. შამათავა, ხარიტონიძე, ს. ი. ბერეჟიანი, მ. ქანტარია და სხვ.) ნაშრომი დაბეჭდვის ღირსია.

უეჭველად სასიხარულო მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დასავლეთ ევროპის ლიტერატურათა და ენების სექციის დიპლომანტებმა სადიპლომო შრომები დასწერეს და დაიცვეს უცხო ენებზე. მათ დაამტკიცეს რომ უნივერსიტეტში შესაძლებელია და აუცილებელია კარგად იქნეს შესწავლილი უცხო ენები. გერმანულ — ფრანგულ—ინგლისურ ენათა კარგ ცოდნასთან ერთად ამ დიპლომანტებმა გამოამჟღავნეს დასავლეთ ევროპის ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა. ძალიან კარგია რუსული ლიტერატურის დიპლომანტების ნაშრომებიც (ან. ჭილაია, თამ. ბურდული, თ. კანდელაკი). ლიტერატორთა ამ კვალიფიციური კადრების საკმაოდ ნაწილი უეჭველად საუკეთესო კანდიდატებია ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.

ისტორიის ფაკულტეტმა გამოუშვა ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები. ამ გამოშვების თვალსაჩინო ნაწილის ცოდნის დონე ისეთია, რომ მათ აქვთ მტკიცე საფუძველი შემდეგი დამოუკიდებელი მუშაობისა და ცოდნის გაღრმავებისა. ისტორიის ფაკულტეტის მთელმა რიგმა დიპლომანტებმა სადიპლომო შრომა დასწერეს და დაიცვეს ფრიადზე (ბ. მანთიძე, ი. შარაშენიძე, გ. გამსახურდია, ბ. [illegible], კიოსოვლი, ი. ცილეკაშვილი, შუშანაშვილი, კილაძე, სოსელია და სხვ.) სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე წლის კურსდამთავრებული სპეციალისტების (გეოფიზიკოსები, გეოგრაფ-გეოლოგები, ლიტერატორები, ისტორიკოსები) გამოშვებამ დაამტკიცა, რომ რადიკალურად იცვლება მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმე. პარტიის შეუნელებელმა მზრუნველობამ და პირადად ამხ. ლ. ბერიას დიდმა ყურადღებამ უნივერსიტეტი მიმდინარე წლის გამოშვების წარმატებამდე მიიყვანა.

ჩვენი ამოცანაა კიდევ უფრო მაღალკვალიფიციური კადრები მივცეთ ჩვენს სოციალისტურ ქვეყანას. უნივერსიტეტის ხელმძღვანელების, მუშაკებისა და მთელი სტუდენტობის გულისყური აქეთკენ იქნება მიმართული.

კ. ორაგველიძე, ზ. ჯანელიძე, ნ. მახარაძე, ბ. ბუაჩიძე, ა. კაპანაძე, ს. გეგენავა.

მოელიან ციტრუსების უხვ მოსავალს

ბათომი, (საკ. კორ.). ციტრუსოვან ნარგავებში შეიტანეს მინერალური სასუქის განსაზღვრული დოზა. სწარმოებს ყველა მცენარის ინდივიდუალური შეწამვლა და ტარდება მოვლის სხვა აგროღონისძიებანი, რის შედეგადაც მოსავალს კარგი პირი უჩანს.

დაბლობ ადგილებში გაშენებული ციტრუსოვანი პლანტაციები საუცხოო მდგომარეობაშია. ტოტებზე ნაყოფი უხვად არის მოსხმული. წელსაც მოსალოდნელია ციტრუსების დიდი მოსავალი.

დამამზადებელი ორგანოები უკვე შეუდგნენ ციტრუსოვანთა აღებისათვის მზადებას.

გეგმა ვადამდე შეასრულეს

საქკარაქმრეწვმა მიმდინარე წლის 27 ივნისს — ვადაზე სამი დღით ადრე — შეასრულა წარმოებისა და დამზადების ნახევარი წლის გეგმა. კარაქი გეგმის მიხედვით უნდა დამზადებულიყო 1100 ცენტნერი, 27 ივნისისათვის დამზადებული იყო 1299 ცენტნერი, რაც ნახევარი წლის გეგმის 118 პროცენტს შეადგენს. ყველი გეგმით უნდა დამზადებულიყო 5500 ცენტნერი, მზადაა 5669 ცენტნერი (გეგმის 101,2 პროც.) შვეიცარიული და ჰოლანდიური ყველი უნდა დამზადებულიყო 1550 ცენტნერი — დამზადებულია 1609 ცენტნერი (გეგმის 103,9 პროც.).

ჩაის საცდელი ფაბრიკა ანასეულში

დამთავრდა ჩაის საცდელი ფაბრიკის მშენებლობა ანასეულში (მახარაძის რაიონი). ეს ფაბრიკა, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე აიგო, პირველია საბჭოთა კავშირში და მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

წინათ ჩაის საცდელ-სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტი, იმის გამო, რომ საკუთარი ფაბრიკა არა ჰქონდა, მოკლებული იყო საშუალებას ეწარმოებინა ფართო დაკვირვებანი და ცდები ჩაის ტექნოლოგიურ პროცესებზე, იმაზე, თუ როგორ შეიძლება გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, ავითვისოთ წარმოების ნარჩენები, მოვაწესრიგოთ შრომა და სხვ. ეს დაბრკოლება ახლა დაძლეულია. საცდელი ფაბრიკა უკვე ამუშავდა.

ამჟამად ფაბრიკაში სწარმოებს დაკვირვებანი და ცდები ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, როგორიცაა ჩაის ხელოვნური ჭკნობა, ცივი ფერმენტაცია, ლარის ხელოვნური ფერმენტაცია, ე. წ. „მწვანე ჩაის“ ათვისება, ჩაის ესენცია, ჩაის გადამუშავების ცალკეულ პროცესებზე ობიექტური კონტროლის შემუშავება და სხვ.

ფაბრიკაში დადგმულია ახალი სისტემის მანქანები და ხელსაწყოები. მაგალითად, საგრეხ საამქროში დადგა ავტომატური როლერი, მოეწყო აგრეთვე ჰიგროტერმოსტატი, რომელიც საფერმენტაციო შენობაში აზომიერებს ჰაერს. მოთავსდება ფაბრიკასთან ბიოქიმიური ლაბორატორიის მოწყობა. ფაბრიკა უზრუნველყოფილია კვალიფიციური მეცნიერ-მუშაკებით. შენობა არქიტექტურულად კარგად არის გაფორმებული. ფაბრიკის სიმძლავრე 100.000 კილოგრამი ჩაის გადამუშავებას აღემატება.



სურათზე: ანასეულის ჩაის საცდელი ფაბრიკის შენობა.

ქვიშხეთის პიონერ-ბანაკში

ქვიშხეთის პიონერ-ბანაკში 25 ივნისიდან დაიწყო საჩვენებელი ტირის და სამხედრო - ფიზკულტურული სავარჯიშო ქალაქის მშენებლობა. ქალაქი შენდება ბანაკის საკუთარი სახსრებითა და საკუთარი ძალებით. ქალაქში მოეწყობა გადასახტომი სიმაღლეები, კიბეები, ორმოები, მავთულხლართები, ტრაპეციები, წრისმბრუნავები, ხიდები, სანგრები, საცურაო და საზიდი საშუალებანი და სხვ. ეს აიგება საჭიროა „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ ნიშნის მისაღებად. ეს პიონერთა გაჯანსაღებისა და გართობის საუკეთესო საშუალებაა. ტირი და ქალაქი მზად იქნება 15 ივლისისათვის. ასეთივე ტირისა და ქალაქის მოწყობის მიზნით ქვიშხეთის ამხ. ლ. ბერიას სახელობის პიონერ-ბანაკმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია „რესპუბლიკის ყველა პიონერ-ბანაკი.

◇

სპორტი

ტფილისის „დინამოს“ გამარჯვება

2 ივლისს მოსკოვში შესდგა უკანასკნელი შეჯიბრება ფეხბურთის საკავშირო პირველობაზე „ბ“ ჯგუფში. თამაშობდნენ ტფილისის „დინამო“ და მოსკოვის „სერპ ი მოლოტი“.

თამაშის დასაწყისში შეტევაზე გადადიოდა „სერპ ი მოლოტი“, მაგრამ შემდეგ გამოაშკარავდა ტფილისელთა უპირატესობა ტაქტიკასა და ფიზიკურ მომზადებაში. მოსკოველები იძულებული გახდნენ თავდაცვაზე გადასულიყვნენ.

თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა 0:0 ანგარიშით. მეორე ტაიმის მე-13 და მე-27 წუთზე ტფილისელებმა [illegible] ორი ბურთი, რამაც გადაწყვიტა მატჩის ბედი. „სერპ ი მოლოტი“ დამარცხდა ანგარიშით 0:2.

ტფილისის მხრიდან განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ დოროხოვი, შავგულიძე და ასლამაზოვი.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის პირველობა „ბ“ ჯგუფში დარჩა ტფილისის „დინამოს“, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი გათამაშება: შვიდი შეჯიბრებიდან ექვსი მოიგო და ერთი ყაიმით დამთავრა, 21 შესაძლებელი ქულიდან 20 მოაგროვა.

„ა“ ჯგუფში გადასასვლელად „დინამო“ უნდა ეთამაშოს იმ გუნდს, რომელიც უკანასკნელ ადგილს დაიჭერს ამ კატეგორიაში. ეს ამ ცოტა ხანში გამოირკვევა, როდესაც დამთავრდება „ა“ ჯგუფის გუნდების პირველობის გათამაშება. თუ ეს შეჯიბრებაც ტფილისის „დინამომ“ მოიგო, იგი გადაირიცხება პირველ ჯგუფში და საბჭოთა კავშირის საუკეთესო გუნდთა რიგში ჩადგება.

ხელოვნება

აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის კონცერტი

დღეს, 10 ივლისს, სახელმწიფო ოპერის თეატრში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით გაიმართება აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდის პირველი საჩვენებელი კონცერტი.

სანდრო კავსაძე დიდი ხანია მოღვაწეობს ხალხური სიმღერების შეგროვება-გავრცელების დარგში. მისი მუშაობა ამ მიმართულებით იწყება: 1891 წლიდან, როდესაც მან, ჯერ კიდევ სემინარიის მოწაფემ, ქუთაისში ნიკოლოზის ეკლესიასთან ჩამოაყალიბა ბავშვთა პირველი ქართული მომღერალთა გუნდი.

ორი წლის შემდეგ მამინდელმა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ს. კავსაძე გაგზავნა წინამძღვრიანთ კარის სამასწავლებლო სკოლაში (საგურამო) გუნდის ჩამოსაყალიბებლად. ამ სკოლაში იმ დროს სულ გლეხის შვილები სწავლობდნენ. სანდრო კავსაძემ აქ გლეხებისაგან შეისწავლა მრავალი ხალხური სიმღერა და თან ნოტებზე გადაიღო. ასეთებია: „ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „ბრძანა სოლომან“, „არაგვისპირული გუთნური“, „მურმან“, „ურმული“, „ზამთარი“ და სხვ.

წლინახევრის შემდეგ ს. კავსაძე ბრუნდება ტფილისში და აარსებს რატილის შემდეგ პირველ ხალხურ მომღერალთა გუნდს (რატილი იყო ჩვენი, ს. კავსაძის მასწავლებელი, მან ვლ. აღნიაშვილთან ერთად ჩამოაყალიბა პირველი ქართული მომღერალთა გუნდი). ამ გუნდმა იარსება 15 წელი, ის ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქში მართავდა კონცერტებს.

1910 წელს სანდრო კავსაძე მიემგზავრება ჭიათურაში მუშათა გუნდის შესაქმნელად. მალე მან ოთხ ადგილას მოაწყო მუშათა გუნდები—ჭიათურაში, პერევისაში, მღვიმევში და შუქრუთში. კავსაძემ ჭიათურაში გაატარა 25 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში დაუღალავად მუშაობდა ხალხური სიმღერებისადმი სიყვარულის დანერგვისათვის.

1934 წელს მემადნეთა პროფკავშირი კავსაძეს გზავნის ტყიბულში. ის აქაც აწყობს რამდენიმე გუნდს, მართავს კონცერტებს.

1935 წლის შემოდგომაზე ს. კავსაძე გამოძახებულ იქნა ტფილისში და დაევალა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდის ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობა.

გუნდმა მეცადინეობა დაიწყო გასული წლის 15 ნოემბერს. ჯერ მასში შედიოდა 18 კაცი, შემდეგ გაფართოვდა 34-მდე. მიუხედავად დაბრკოლებებისა (გუნდს არ ჰქონდა მუდმივი სამეცადინო ბინა), გუნდმა დიდი მუშაობა შეასრულა — დამზადებული აქვს 35-მდე სიმღერა. გუნდში შედიან როგორც მომღერლები, ისე მოცეკვავენი და დამკვრელები (დოლი, დუდუკი, საზანდარი).

შემდეგში გუნდი კიდევ უფრო გაფართოვდება. ს. კავსაძეს განზრახული აქვს მთიულეთის, ქართლში და კახეთში ხალხური სიმღერების საუკეთესო მცოდნე გლეხები, ჩამოიყვანოს ისინი კონცერტებზე და [illegible] ჩაიწეროს მათი სიმღერები.

გუნდის რეპერტუარში შედის ჯერჯერობით მხოლოდ ძველი სიმღერები, მრავალ მათგანს ასეული წლის ისტორია აქვს. გუნდი ასრულებს მათ იმ სახით, როგორც ხალხში მღერიან.

დღევანდელ კონცერტზე შესრულებულ იქნება ოცამდე სიმღერა და რამდენიმე საცეკვაო ნომერი. კონცერტები გაიმართება აგრეთვე მუშათა უბნებში — პლეხანოვის სახელობის კლუბში, ველაბარში წითელარმიელთა ბანაკებში.

◇

კობულეთელი კოლმეურნეები ლანჩხუთში

რამდენიმე დღის წინათ ლანჩხუთის რაიონს ესტუმრა ქობულეთის რაიონის ციტრუსოვანთა სანერგეებში მომუშავე კოლმეურნეთა დელეგაცია. მათი ჩამოსვლის მიზანი იყო შემოწმებინათ იმ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რომელიც გასული წლის დეკემბერში ამ ორ რაიონს შორის ციტრუსოვანთა სანერგეების სანიმუშოდ მოწყობაზე დაიდო.

სტუმრებმა დაათვალიერეს რაიონში არსებული ციტრუსოვანთა თითქმის ყველა სანერგე, რამაც მათზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. განსაკუთრებით მოიწონეს შრომის ორგანიზაციის საკითხები. მიუთითეს აგრეთვე ზოგიერთ ნაკლზე, რომელიც დათვალიერების დროს ცალკე სანერგეებში შეამჩნიეს.

სტუმრობა ჩატარდა ურთიერთ გამოცდილების გაზიარების ნიშნით და მან სანერგეებში მომუშავეთა შორის ახალი ენთუზიაზმი გამოიწვია.

გ. კახიანი.

◇

ქალთა გადასვლა ფეხით ტფილისი — ლენინაკანი

7 ივლისს, საღამოს 8 საათზე ტფილისში, № ათასეულის საერთო საცხოვრებელთან სტარტი მისცეს ტფილისის გარნიზონის ნაწილების მეთაურთა ცოლების ფეხით გადასვლას მარშრუტით ტფილისი-ლენინაკანი.

გადასვლაში, რომელიც № ათასეულმა მოაწყო, მონაწილეობას იღებს 7 ქალი.

სასამართლო

ვაშაკიძისა და ებრალიძის საქმე

7 ივლისის დილისა და საღამოს სხდომებზე [illegible] მოწმეთა დაკითხვა [illegible] ბრალდებულთა [illegible].

მოვიყვანოთ ორიოდე ჩვენება: ერთერთი დაზარალებული ბავშვის დედა აღელვებით, ცრემლმორეული მოუთხრობს სასამართლოს 13 მაისს თავისი შვილის „დაკარგვის“ ამბავს. იგი აცხადებს: ეს საზიზღარი ამბავი რომ გავიგე, გავეშურე სკოლაში დირექტორთან. ვაშაკიძემ რომ დამინახა, გაფითრდა, მაგრამ რას მოვიფიქრებდი, თუ ჩემი უბედურების მთავარ „გმირს“ ველაპარაკებოდი. როდესაც მომხდარი შევჩივლე, მან იმედიანად მიპასუხა: ებრალიძე კარებიდან გამისხლტა, თორემ უნდა მომეკლა, ნუ გეშინია! მე არ დავტოვებ, ის უნდა დაიხვრიტოს!

თილისმური ენით დაუწყნარა ვაშაკიძემ აღელვებული მშობელი, ანუგეშა, თავი დამშვიდებულად და პირისფერად [illegible] მოაჩვენა. ესეც ვაშაკიძის მორალური გახრწნისა და გადაგვარების დამამტკიცებელია.

მოწმე ინჟინერი კრაუზე, იმ სახლის მმართველი, სადაც ბრალდებული ებრალიძე ცხოვრობს, აღნიშნავს, რომ ებრალიძის ბინაზე ხშირად იმართებოდა ქეიფი და ვიღაც-ვიღაცები ღამეებსაც ათევდნენ. ამაზე შორმან მილიციასაც მიმართა. ესეც „პიონერ-ხელმძღვანელის“ დამახასიათებელია!

მე-22 სკოლის მასწავლებელი, მოწმე კობერიძე ფარდას ხდის ამ ბოროტების მიზეზის მსურველის — ბრალდებულ მ. წილოსანის სამარცხვინო როლს.

მორიგი სხდომა, 8 ივლისს საღამოს, მხარეთა კამათით გაიხსნა. მთელმა დარბაზმა დიდი ყურადღებით მოისმინა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ბრალმდებელთა ღრმა, შინაარსიანი სიტყვები.

— ვაშაკიძის საქციელი ჩვეულებრივ სქესობრივ დანაშაულს კი არ წარმოადგენს—ამბობს პროკურორი ამხ. წულუკიძე,—არამედ მისი მოქმედება ატარებს უფრო სერიოზულ პოლიტიკურ შედეგს: მისი ბრალდება, როგორც სახელმწიფო მმართველობის წესების საწინააღმდეგოდ მიმართული, საშიშ დანაშაულს წარმოადგენს. მისი მოქმედება ბილწავს საბჭოთა პედაგოგის ღირსეულ უმწიკვლო სახელს. ვაშაკიძის გამოსწორება ყოვლად შეუძლებელია, ის ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი, უცხო ელემენტია. გახრწნილ [illegible] უნდა ამოვწყვიტოთ მშრომელთა ოჯახის ჯანმრთელი სხეულიდან ეს მუწუკი, ერთხელ და სამუდამოდ განადგურებით. საბჭოთა პედაგოგის ქურქში გახვეული კლასობრივი მტერია. იგი უნდა დაისაჯოს.

ხალხით გაჭედილი დარბაზი პროკურორის ამ სიტყვებს ტაშით ფარავს.

ბრალდებულ ებრალიძის მიმართ პროკურორი მოითხოვს 10 წლით თავისუფლების აღკვეთას. ხოლო მაჭანკალ წილოსანისათვის სასჯელის შეფარდებას იმ მუხლით, რომელიც მას წაყენებული აქვს.

ამხ. წულუკიძის შემდეგ გამოვიდნენ საზოგადოებრივი ბრალმდებლები — ტფილისის განათლების განყოფილებიდან ამხ. გიორგაძე და კიროვის რაიონის კომკავშირის კომიტეტიდან ამხ. ვაჭარაძე.

დასასრულ, გამოვიდა დამცველთა კოლეგიის წევრი ი. თეთრმერიძე—ბრალდებულ ვაშაკიძის დამცველი.

ამით დამთავრდა 8 ივლისის საღამოს სხდომა.

მირი ბურდული.

◇

შემთხვევები

# ბანდიტის მოკვლა. მაისის განმავლობაში ზუგდიდის რაიონში რამდენიმე შეიარაღებული ძარცვა მოხდა. ბანდიტები ძარცვას ახდენდნენ როგორც სახლებში, ისე გზებზე. ბანდიტების შესაპყრობად რაიონის მილიციამ ენერგიული ზომები მიიღო. რამდენიმე ხნის შემდეგ მილიციამ გამოარკვია, რომ ძარცვას ახდენდა შრომა-გასწორების ბანაკიდან გაქცეული ორი ბოროტმოქმედი. შემდეგში დადასტურდა, რომ ერთ-ერთი ბანდიტი იყო ვინმე ტ. ქარდავა, რომელსაც ბანდიტური თავდასხმებისათვის მისჯილი ჰქონდა 10 წლის თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მისი თანამონაწილე იყო ქურდ-რეციდივისტი მ. გაბისონია, რომელსაც მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. ამ რამდენიმე დღის წინათ, როდესაც ორივე ბანდიტი გაბისონიას სახლში იმყოფებოდა, რაიონის მილიციის თანამშრომლები გამოცხადდნენ მათ შესაპყრობად. სახლში მიმალულმა ბანდიტებმა მილიციის მუშაკებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ არავითარი ზიანი ვერ მიაყენეს. სროლის დროს მილიციელებმა ბანდიტი ქარდავა მოკლეს, გაბისონია შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს.

# გაუფრთხილებელი ხელი. შოფერმა ვ. ს. არაქელაშვილმა, რომელიც მართავდა № 28—20 საბარგო ავტომანქანას, საქსამხედრო გზაზე გადაჭარბებული სისწრაფით განავითარა, დაეჯახა გლეხ დ. ლაშხის (სოფ. წილკანი) ურემს, დაამსხვრია გლეხი და დაამტვრია ურემი. დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს. შოფერი არაქელაშვილი შეიპყრეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ.

◇

პარტკალენდარი

— საქ კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის 26 კომუნართა სახელობის რაიონული კომიტეტი პარტდოკუმენტების გამოცვლასთან დაკავშირებით, იუწყება, რომ 10 ივლისს რაიკომის მდივანთან ამხ. კარანაძესთან უნდა გამოცხადდნენ—ამხ. გარეგინ სედრაკის-ძე მნაცაკანოვი, ნესტორ თაგორიძის-ძე კორკოტაძე, ოჩანეს ეგნატის-ძე კოსტენკო, ვასილ ალექსის-ძე კოზლოვი, არშაკ პროტოცის-ძე ართუნოვი, ტიგრან პავლეს-ძე პოლოსოვი, მელიქ ყაზარის-ძე მანუკიანი და ამოთ ოჰანესის-ძე ათოიანი.

ტფილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
10 ივლისს
პირველი საჩვენებელი კონცერტი
აღმოსავლეთ საქართველოს სახ. ეთნოგრაფიული გუნდის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით.
15269
დასაწყისი სრულ 8-30 საათზე.

საკინემატოგრაფო თეატრები	ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	მხატვრ. ფილმი „მაწანწალნი“ 1-ლი სერია ვ. ჰიუგოს ნაწარმ. მიხედვით.
	დამკვრელი საზ.-საზამ. 6-30, 8-30, 10-30	საზაფხ. შენობ. „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“ საზამთ. „ ხმოვ. ფილმი „დუბროვსკი“
	კომკავშირელი საზ.საზამ 6-30, 8-30, 10-30	საზაფხ. შენობ. „უკანასკნელი მილიარდერი“ საზამთ. „ ხმოვ. ფილმი „პეპო“
	რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი კომედია „მარიონეტები“
	საზაფხ. ეთერი 9 ს. 11 საათ.	უკანასკნელი დღეები ხმოვ. სურ. „ცირკი“
	26 კომუნ. სახ.	ხმოვ. ფილი „უკანასკნელი მასკარადი“
	კომინტერნი საზაფხ.	ხმოვანი ფილმი „ცირკი“

საქ. უზენაეს სასამართლოს ა/წ. 28 ივნისის დადგენილების თანახმად ხდება ხარაგოულის ადგილობრივი მრეწველობის ღვინო-კონიაკის ქარხნის (ხარმრეწვი)
ლიკვიდაცია
მისი არაშემძლეობის გამო.
წინადადება ეძლევა ყველა ორგანიზაციას, საწარმოს და კერძო პირთ, ვისაც აქვს პრეტენზია ხარმრეწვის მიმართ, წარუდგინოს ეს პრეტენზიები ხარმრეწვის ლიკვიდკომს არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან რიცხვიდან შემდეგი მისამართით: ხარაგოული, ორჯონიკიძის რაიონი, ხარმრეწვის შენობა.
ერთი თვის გასვლის შემდეგ არავითარი პრეტენზია აღარ მიიღება.
15263 საქ. უზენაესი სასამართლო.

ტფილისის სამეანო-საფერშლო სამედიცინო
ტექნიკუმი
1936-37 სასწავლო წლის მიღების პირობები:
სამეანო-საფერშლო ტექნიკუმი ისე, როგორც საერთო ტექნიკუმები ამზადებს მოსწავლეებს ზოგად საგნებში და ამასთან ერთად მეან-ექიმის თანაშემწე-ფერშლის წოდებაზე.
1. მიღებისათვის საჭიროა: 1. დაბადების მოწმობა, 2. ჯანმრთელობისა და აცრისა, 3. სოციალური მდგომარეობისა, 4. შვიდწლედის დამთავრებისა, 5. ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი და 6. განცხადება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე.
2. მისაღები მსმენელები მიიღებიან გამოცდით შვიდწლედის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: ქართული ენა, ფიზიკა, ქიმია, არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია და პოლიტცოდნა.
3. ტექნიკუმში მიიღებიან მოწაფეები მდედრობითი სქესისა 15-დან 25 წლამდე.
4. ტექნიკუმში უგამოცდოდ მიიღებიან ის პირნი, რომლებმაც არასრული საშუალო სკოლა (შვიდწლედი) ფრიადოსნად დაამთავრეს.
5. განცხადებათა მიღება ტექნიკუმის კანცელარიაში ამა განცხადების გამოქვეყნებიდან 14/8-მდე. მისამართი: ქ. ტფილისი, ლენინის ქ. № 50 (დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-კვლევითი (ყოფ. სამეან-გინეკოლოგიური) ინსტიტუტი.
6. მისაღები გამოცდები 15 აგვისტოდან.
7. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.
8. ტექნიკუმში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით.
15264 დირექცია.

ღრმად დამწუხარებული მშობლები: ქსენია (ქეკური), ევგენი, ძმები: მამია, ლეტენია აუწყებენ ნათესავ - მეგობრებს საყვარელ
ვიტალი (კოკოტია) ევგენის-ძე
სანადირაძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ვაკეში 11 ივლისს. 15268.

დამწუხრებული მეუღლე ნინო, შვილებით, მიხაკო მეტრეველი ცოლშვილით, რძალი ვარო ოჯახით, ალექსი უსტიაშვილი დედით, ცოლშვილით იუწყებიან, რომ 12 ივლისს 6 საათზე თელავში დანიშნულია
სოსო მეტრეველის
სამოქ. პანაშვიდი 15251

სამუდამოდ გაუბედურებული მშობლები: აგრაფინა, აფრასიონ, ძმა კონდრატი; ვენერა, მარიკო, ოთარ აუწყებენ საზოგადოებას მათთვის უძვირფასესი
ანიკო მეტრეველი — ელბაქიძის
მოულოდნელად დაკარგვას. დაკრძალვა 10 ივლისს, გამოსვენება ლენინის, 2. 15248.

ვაკის რაიკოოპკავშირის გამგეობა და თანამშრომლები იუწყებიან ტობანიერის სოფლის კოოპერატივის ერთერთი საუკეთესო და ენერგიით სავსე მუშაკის, ბუღალტერ
დათიკო მამფორიას
გარდაცვალებას 15228.

უახლოესი მეგობრები: ვანიჩკა, ვალოდია ჩხიკვაძეები, ზაქრო მეგრელიშვილი, აბელ ასათიანი, ნოე მეხუზლა, ისმაილ ლომთაძე, მიშა ქართველიძე, სესილ მეძმარიაშვილი მწუხარებას გამოსთქვამენ გედეონ ნიკოლაიშვილის პატარა
გურიკოს
დაკარგვის გამო. 15232.

ფარმქარხნის ბუღალტერიის თანამშრომლები: თაკაძე, დოლიძე, ქვლივიძე, ლოშვილი, თოიკაშვილი, ჩარიხრიანი, აბაშიძე, მღებროვი, ჩიკვაიძე, ანთაძე, კრივოშეევი ვიზიარებთ ამავე ქარხნის თანამშრომლის თინა ქიცრიშვილის მწუხარებას მისი დის
მარუსიას
უდროოდ გარდაცვალების გამო. 15234

ტფილისის რკინიგზის ინტერნატის მთელი კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს კოლექტივის წევრის, მასწავლებელ ვლადიმერ არეშიძის ვაჟის
ვახტანგის
გარდაცვალების გამო. 15232.

მწუხარებით მყოფი მეუღლე ფიმულა შვილებით: ზინკით და ნიათი იუწყებიან, რომ 12 ივლისს ქ. სენაკში დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი დაუვიწყარ
ესტატე ზესარიონის-ძე ლატარიას
ხსოვნის აღსანიშნავად. 15258

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული 8472